

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**



**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
აქტუალური პრობლემები**

**ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან
146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია**

თეზისები

**თბილისი
27-28 აპრილი
2022**

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი **ნანა გაფრინდაშვილი**

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**

პროფესორი **დარეჯან გარდავაძე**

ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე ნავროზაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი **ნათია ფუტყარაძე**

**სამათა რუსულ-ქართული კონტრასტული
ლექსიკონი: პრობლემის დასმისათვის**

**RUSSIAN-GEORGIAN CONTRASTIVE DICTIONARY
OF SEMES: FOR RAISING THE PROBLEM**

მარინე ალექსიძე, ლაურა გურული

Marine Aleksidze, Laura Guruli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ლექსიკური სემანტიკა, უცხო ენის სწავლება,
სემური ანალიზი, კონტრასტული ლექსიკოგრაფია

Keywords: lexical semantics, foreign language teaching, seme analysis, contrastive lexicography

გასული საუკუნის ბოლოს შეპირისპირებითი კვლევების საერთო მასივს გამოეყო კონტრასტული ლინგვისტიკა, შესაბამისად, საგრძნობლად გაიზარდა სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა ინტერესი მის მიმართ.

კონტრასტული ლინგვისტიკის მიზანია არა ენობრივი ქვესისტემების მსგავსებისა და განსხვავებების დადგენა, არამედ ერთი ენის ერთეულის სემანტიკისა და ფუნქციების განსხვავებათა გამოვლენა მეორე ენაში მის შესაძლო შესაბამისობებთან შედარებით.

კონტრასტული კვლევების შედეგები შეიძლება უშუალოდ დაინერგოს უცხო ენის სწავლების პრაქტიკაში, რადგან ისინი წარმოადგენენ ორენაში განსხვავებული ფაქტების აღწერას და შეიძლება მათი გამოყენება ლექსიკის დიფერენციალური სემანტიზაციის მიზნით.

ლექსიკოგრაფიის ძირითად პრობლემას დღეს წარმოადგენს დეფინიციის ეფექტურობის საკითხი, ანუ ის, თუ რამდენად სრულად არის გახსნილი სიტყვის მნიშვნელობა და რამდენად გასაგებია ლექსიკონის მომხმარებლისათვის სიტყვის მნიშვნელობის განმარტება. დღეს ტრადიციული პრინციპი – ცნების მოკლე განმარტება – უკვე აღარ არის საკმარისი, რადგან მას არ შეუძლია ენობრივი ერთეულების ყველა ეროვნულ-კულტურული თავისებურების ასახვა. ამ ამოცანის შესრულებას კისრულობს კონტრასტული ლექსიკოგრაფია – ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი, მაგრამ შრომატევადი დარგი, რომლის ფარგლებშიც ფორმირდება განსაკუთრებული ლექსიკოგრაფიული ჟანრი – კონტრასტული ორენოვანი ლექსიკონი.

ორი სხვადასხვა ენის სემანტიკის კონტრასტული აღწერის შედეგების ლექსიკოგრაფიული ფიქსაცია ორენოვანი კონტრასტული ლექსიკონის შედგენის შესაძლებლობას იძლევა. ი. სტერნინის მიერ შემუშავებულია ასეთი ლექსიკონების სამი ტიპი: 1. სემური კონტრასტული ლექსიკონი, 2. კონტრასტული ორენოვანი განმარტებით – თარგმნითი ლექსიკონი, 3. კონტრასტული ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონი.

ი. სტერნინის იდეებზე დაყრდნობით, შესაძლებელია რუსულ-ქართული სემური კონტრასტული ლექსიკონის შედგენა, რადგან ამ ტიპის ლექსიკონი ფაქტობრივ ბაზას ქმნის კონტრასტულ ლექსიკონთა სხვა ტიპის შესადგენად და უდიდეს ღირებულებას

წარმოადგენს ენათა ეროვნული სპეციფიკის შესწავლისათვის. ასეთი ლექსიკონის არსი მდგომარეობს რუსული და ქართული ენების ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების აღწერაში სემების მიხედვით, რომლებიც გვევლინებიან, როგორც ახლო შესატყვისობები ან ეკვივალენტები და, აგრეთვე, როგორც ლაკუნები. ლექსიკოგრაფიული აღწერის ობიექტად შეიძლება პირველ ეტაპზე აღებულ იქნას რუსული და ქართული არსებითი სახელები, ენის ლექსიკურ სისტემაში მათი დომინირებული მდგომარეობის გამო. სიტყვა-სტატიების მოცულობა კონტრასტულ ლექსიკონებში საკმაოდ დიდია, ამიტომ ლექსიკონში სიტყვანი უნდა იყოს თემატურად შემოსაზღვრული. მაგალითად, რუსულ და ქართულ ენათა ლექსიკურ-სემანტიკური ველი "პირის დასახელება". აღნიშნული ერთეულების სემანტიკური აღწერილობა უნდა იყოს ჩატარებული სალექსიკონო დეფინიციის დენოტატურ, კონოტატურ და ფუნქციურ დონეებზე სემური ანალიზის საფუძველზე.

ლიტერატურა:

Стернин, И. (2006). Контрастивная лингвистика: Проблемы теории и методики исследования. Москва: Восток-Запад.

By the end of the last century contrastive linguistics were separated from the general mass of comparative studies, consequently the interest of scholars from various countries has noticeably increased towards the subject. The result of the contrastive studies is not to establish similarities and differences in the linguistic subsystems, but to reveal the differences in the semantics and functions of one language unit compared to its possible counterparts in another language. The results of contrastive studies can be directly introduced into the practice of teaching a foreign language because they are descriptions of different facts in two languages and can be used for differential semantics of vocabulary (I. Sternin)

The main problem of lexicography today is the question of the effectiveness of the definition, that is, how fully the meaning of the word is explained and how understandable the definition of the meaning of the word

is for the dictionary user. Today, the traditional principle – a brief definition of the concept – is no longer sufficient, as it can not reflect all the national-cultural characteristics of linguistic units. This task is performed by contrast lexicography – an important but time-consuming field of linguistics, within which a special lexicographical genre – contrasting bilingual dictionary – is formed. Fixation in the lexicographical form of the results of the contrastive description of semantics in two different languages may help in creating a bilingual contrastive dictionary. I. Sternin has devised three types of this kind of a dictionary: Semantic contrastive dictionary, contrastive bilingual glossary and translating bilingual dictionary.

Based on Stern's ideas, it is possible to compile a Russian-Georgian Semitic contrast dictionary, as this type of dictionary forms the actual basis for compiling other types of contrast dictionaries and is of great value for the study of national specifics of languages. The essence of such a dictionary lies in the description of the meanings of the lexical units of the Russian and Georgian languages according to the semes, which appear as close correspondences or equivalents, as well as lacunae. Russian and Georgian nouns can be taken as the object of lexicographical writing in the first stage, due to their dominant position in the lexical system of the language. The volume of word-articles in contrasting dictionaries is quite large, therefore the word in the dictionary should be thematically organized and restricted. For example, the lexical-semantic field of Russian and Georgian languages "Name of a person". The semantic description of these units should be based on semantic analysis at the denotative, connotative, and functional levels of the lexical definition.

References:

Sternin, I. (2006). *Kontrativnaia lingvistika: problemy teorii i metodiki issledovaniia*. Moscow: Vostok-Zapad.

IX საუკუნის კავკასია გერმანელ
მკვლევართა ნაწარებში

XIX CENTURY CAUCASUS IN THE WORKS
OF THE GERMAN SCHOLARS

მარინა ანდრაზაშვილი

Marina Andrazashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნის კავკასია, კავკასიის
პროვინციები, გერმანელი მოგზაურები

Keywords: XIX century Caucasus, Caucasian provinces, German
travellers

წინამდებარე გამოკვლევის ობიექტია 1987 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული წიგნი „Reisen im Kaukasus“ (მოგზაურობა კავკასიაში), მიძღვნილი მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი მოგზაურებისა და მკვლევარებისადმი, რომელთაც კავკასიის შესწავლის მიზნით არაერთგზის უმოგზაურიათ ამ მხარეში ხშირად დიდი რისკებისა და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასადაც. ნაშრომი საინფორმაციო დანიშნულებისაა და მიზნად ისახავს, გააცნოს ქართველ აუდიტორიას თემატური ასპექტები, რომლებიც იკვეთება წიგნში გამოქვეყნებული ოცი ამონარიდის მიხედვით სხვადასხვა სფეროს გერმანელ სწავლულთა ნაწერებიდან.

XIX საუკუნის ევროპაში საუნივერსიტეტო განათლებამიღებული ავტორები – ადოლფ ბასტიანი, მორიც ფონ კოცებუ, იულიუს ფონ კლაპროთი, მორიც ვაგნერი, გუსტავ რადე, რუდოლფ ვირხოვი, კარლ კოხი, ფრიდრიხ ფონ ბაიერნი და სხვანი, მათ გვერდით ასევე პოეტები ფრიდრიხ მარტინ ფონ ბოდენშტედტი და არტურ ლაისტი – ირიცხებოდნენ გერმანიის, ასევე, რუსეთის იმპერიის პეტერბურგის აკადემიის წევრებად. მათი ჩანაწერების, დღიურებისა თუ პირადი წერილების დასტამბვა გდრ-ის დროინდელ ლაიპციგში, უპირველესად კი ტექსტების გადატანა გოთურიდან ლათინურ შრიფტზე, ითვლება ამ ტიპის პირველ და დღემდე ერთადერთ მცდელობად, თვით წიგნი კი – ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

ამონარიდების მიხედვით წიგნში იკვეთება შემდეგი თემატური ხაზები: ა) კავკასიის მდებარეობა – კლაპროთის სიტყვებით, „ძველი მსოფლიოს ყველაზე საოცარი და ყველაზე ნაკლებად ცნობილი მხარე“ ბ) ფრიდრიხ კოლენატის არქეოლოგიური გათხრები და მოკვლევული სამარხები, მეტწილად უკვე გაძარცვული რუსული ექსპედიციების მიერ; გ) ხელუხლებლად შემონახული ალპური ზონის მცენარეული საფარი, რომლის „საშურ მიმზიდველობაზე“ მორიც ვაგნერის მიერ შედგენილი ჰერბარიუმიც მეტყველებს; დ) მწერების, „ჭრელფრთიანი პეპლებისა“ და „უცხო ჯიშის კალიების“ კოლექციები, „რომელთა სადარიც ევროპის ალპებში არ შეხვედრია“ ფრიდრიხ ვილჰელმ პაროტს; ე) კავკასიის ბინადარნი – ადოლფ ბასტიანის თვალთ დანახული „ერთობ პირქუში და სახემოდუშული მთიულები, ჩეჩნები, ყაბარდოელები, ოსები და სხვა ეთნოსის

ხალხები, რომელთა „გარჩევაც ერთმანეთისგან ერთი შეხედვით ჭირს“; ვ) საილუსტრაციო მასალად აღებული, უცნობ ავტორთა დაგეროტიკების მიხედვით დამზადებული ფოტოები, ესკიზები, რუკები; ზ) ფრიდრიხ მარტინ ფონ ბოდენშტეტისა და არტურ ლაისტის ლექსები, შთაგონებული კავკასიის ველური ბუნების ხიბლით.

გამოკვლევაში განსჯის ობიექტია თვით დედნის ენაც, რომელშიც დაცულია XIX საუკუნის ორთოგრაფიული ნორმები, წარმოდგენილია არქაული ლექსიკა, გვხვდება ვრცელი სინტაქსური პერიოდები, სიტყვაუხვი პასაჟები, ასევე რუსიციზმები და ტოპონიმთა რუსიფიცირებული ვერსიები.

ლიტერატურა:

Breuste, J. & Malich, B. (1987). *Reisen im Kaukasus. Berichten aus dem 19. Jahrhundert.* Leipzig: Koehler & Amelang.

Klaproth, J. (1812). *Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807/1808.* I Bd. Halle 1812. Neuauflage: Zentralantiquariat Leip. 1970.

The object of research is a book published in the German Democratic Republic in 1987 – „Reisen im Kaukasus“ (Travel to Caucasus), dedicated to the 19th century German travelers and explorers, who travelled to the Caucasus numerous times for the purpose of studying this region. Frequently, these scholars travelled to the Caucasus despite great risks and threats to their lives. The paper is informative and aims to introduce the Georgian society to the thematic aspects provided in the book in the form of twenty abstracts from the works of German scholars working in diverse fields.

The authors with University education in the XIX century Europe – Adolf Bastian, Moritz von Kotzebue, Julius von Klaproth, Gustav Radde, Moritz Wagner, Gustav Radde, Rudolf Virchow, Karl Koch, Fridrich von Bayern and others, as well as poets Friedrich Martin von Bodenstedt and Arthur Leist – were members of the academies in Germany and St. Petersburg, Russian Empire. Publication of their notes, diaries and personal letters in Leipzig in the period of German Democratic Republic, and, above all, the transfer of

texts from Gothic into Latin script, is considered the first and so far unique attempt of this kind, whereas the book itself is regarded as a bibliographical rarity.

The abstracts provided in the book refer to the following themes: a) location of the Caucasus – according to Julius von Klaproth, “the most wonderful and the least known region of the old world“ b) the archeological excavations of Friedrich Kolenati and the burial grounds discovered by him, in most cases already robbed by Russian expeditions; c) the unimpaired plant cover of the Alpine zone, “the captivating beauty” of which is proved by the herbarium composed by Moritz Wagner; d) collections of “colourful butterflies” and “foreign species of grasshoppers” „never discovered in the European Alps“ by Friedrich Wilhelm Parrot; e) the inhabitants of the Caucasus, described by Adolf Bastian as “rather gloomy and morose highlanders, Chechens, Kabardians, Ossetians and people of other ethnicities that are hard to distinguish from one another“; f) illustration material consisting of photographs made from daguerrotypes by unknown authors, sketches and maps; g) poems by Friedrich Martin von Bodenstedt and Arthur Leist, inspired by the charm of Caucasian wildlife.

Another object of research is the language of the original text, which has preserved the spelling rules of the 19th century, archaic vocabulary, vast syntactic periods, loquacious passages, Russianisms and Russian-influenced versions of toponyms.

References:

- Breuste, J. & Malich, B.** (1987). *Reisen im Kaukasus. Berichten aus dem 19. Jahrhundert.* Leipzig: Koehler & Amelang.
- Klaproth, J.** (1812). *Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807/1808.* I Bd. Halle 1812. Neuauflage: Zentralantiquariat Leip. 1970.

ენობრივ ფორმათა ფუნქციური „კლასტერები“
სხვადასხვა ლინგვისტიკურ დონეზე
ქართულში

THE FUNCTIONAL “CLUSTERS” OF LINGUISTIC FORMS
AT THE DIFFERENT LINGUISTIC LEVELS IN GEORGIAN

რუსუდან ასათიანი
Rusudan Asatiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფუნქციური გრამატიკა, ჰარმონიული
კომპლექსები, მორფემული კლასტერები, ზმნური
კლასტერები

Keywords: functional grammar, harmonic complexes, morphemic
clusters, verb clusters

ენობრივი ნიშნის გამოხატულებისა და შინაარსის პლანებს შორის არსებული მიმართებების ამოცნობა-აღწერა და მათ შორის ცალსახა კავშირების დამყარება არის სტრუქტურული ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა.

ამ მიმართებების შესწავლა ეფექტურია, თუ ნიშნის სამივე ასპექტი – როგორც სინტაქტიკური, ისე სემანტიკური და პრაგმატიკული – იქნება გათვალისწინებული.

პრაგმატიკული ასპექტის წამოწევა გულისხმობს ნიშნის მნიშვნელობიდან მის ფუნქციებზე ყურადღების გადატანას: ფუნქციონალური მიდგომით ნიშანს არა მხოლოდ მისი მნიშვნელობისა და ფორმის, არამედ ენობრივ სისტემაში მისი ფუნქციების მიხედვით ანალიზებენ.

ფუნქციონალური მიდგომით ნათელი ხდება, რომ აღსანიშნავია (resp. მნიშვნელობა) და აღმნიშვნელს (resp. ფორმა) შორის ცალსახა მიმართების დამყარება ვერ ხერხდება, რამდენადაც შესაძლებელია:

1. ერთი ენობრივი ნიშნის ფორმა ერთდროულად, ერთსა და იმავე კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელობას გამოხატავდეს; და, პირიქით,
2. რამდენიმე ენობრივი ნიშნის განსხვავებული ფორმები კომპლექსურად ერთი დანიშნულებით გამოიყენებოდეს, ანუ ერთ ფუნქციაზე მიგვანიშნებდეს, და ენობრივ სისტემაში ფუნქციონირებდეს, როგორც ერთი ერთეული.

ამგვარ მორფემათა ნიმუშები გავრცელებულია ე.წ. ფლექსიურ (res. ფუზიურ) ენებში, რომლებშიც ერთი და იგივე აფიქსური მორფემა რამდენიმე მნიშვნელობას ერთდროულად გამოხატავს; მაგალითად, ქართულში მესამე სუბიექტური პირის მორფემის აღმნიშვნელი -ს ერთდროულად აღნიშნავს მნიშვნელობათა კომპლექსს: ან {სუბიექტური მესამე პირი, აქტიური ზმნა, აწმყო}, ან {სუბიექტური მესამე პირი, კავშირებითი კილო}. ფუზიის ამგვარი შემთხვევები (ერთი ფორმა ჩაზრამდენიმე მნიშვნელობა) საკმაოდ გავრცელებულია ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში და სათანადოდაა

კიდევ გაანალიზებული. თუმცა, ფუზიის მეორე შემთხვევა: ერთი მნიშვნელობა/ფუნქცია წა რამდენიმე ფორმა, რომელთა კლასიკურ ნიმუშად ასახელებენ ლათინურ ენას, ნაკლებად გამოვლენილი და შესწავლილია ქართულში. ფონოლოგიის დონეზე ასეთი, ე.წ. კლასტერული, შემთხვევების ნიმუშს წარმოადგენს გ. ახვლედიანის მიერ გამოვლენილი ჰარმონიული კომპლექსები.

მოხსნებაში გაანალიზებული იქნება სწორედ ასეთი კლასტერული შემთხვევები ქართულში, მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე.

The main task of structural linguistics is to identify and describe the relationship between the “signifier” and the “signified” of the “sign”. The study of these relations is effective if all three aspects of the sign are taken into account, both syntactic or semantic, and pragmatic.

Foregrounding of the pragmatic aspect implies a shift in emphasis from the meaning of the sign to its functions: in the functional approach, the sign is analyzed not only from the point of view of its meaning and form but also from the point of view of its functions in the language system.

From a functional point of view, it becomes clear that sometimes a one-to-one correspondence between the signifier (res. value) and the signifier (res. form) cannot be established, since it may be that

1. the form of one linguistic sign expresses several meanings at the same time; And, vice versa,
2. different forms of various linguistic signs refer to one function, and these signs function as one unit in the language system.

Patterns of such morphemes are common in so-called fusion languages, where one morpheme expresses several meanings at the same time; For example, in the Georgian language, a morpheme denoting III-Person of a Subject simultaneously expresses a set of meanings: either {S, III, Active Verb, Present}, or {S, III, Subjunctive Mood}. Such cases of fusion (one form წა several meanings) are quite common in the grammatical system

of the Georgian language and are even properly analyzed. However, the second case: {one meaning/function β à several forms} – is less identified and studied in Georgian. At the level of phonology, the so-called Harmonic Complexes identified and studied by Akhvlediani are an example of such clusters.

The article reveals and analyzes examples of such “Functional Clusters” in Georgian at the level of morphology and/or syntax.

დვალეთის ქართული ონომასტიკა
GEORGIAN ONOMASTICS OF DVALETI

ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, ქართული, დვალეთი
Keywords: Onomastics, Georgian, Dvaleti

მოხსენებაში განხილულია საქართველოს ძირძველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის - დვალეთისა და დვალეების (დვალეები - ეთნიკური ქართველები, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი) ონომასტიკური ემპირიული მასალა ონომასტიკური უნივერსალიების, მისი ლინგვისტიკური და ექსტრალინგვისტიკური ასპექტების გათვალისწინებით. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტოპონიმკას, კერძოდ, იოკონიმებს, როგორც საცხოვრისის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა სიღრმისეული შესწავლა იძლევა საშუალებას, ეს ენობრივი მოვლენა განვიხილოთ სხვადასხვა წრეში, კერძოდ, დავადგინოთ მისი მიმართება მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან (გეოგრაფია, გეოლოგია, ბიოლოგია, ასტროლოგია, ისტორია, არქეოლოგია), ფსიქოლინგვისტიკა და მიმართება ექსტრალინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ფაქტორებთან. მოხსენებაში განხილულია დვალეთის ონომასტიკა თითოეული ონომის წარმოშობისა და მათი სასაუბრო ენასთან ან უკვე გამქრალ ენასთან დამოკიდებულების (ოსური, ქართული) თვალსაზრისით. დვალეთის ონომასტიკის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, განსაკუთრებით კი ოიკონიმების (ოიკონიმია ბერძნული სიტყვაა οἰκισμός, რომელიც „საცხოვრისის“, „ქალაქის“ სახელს ნიშნავს) ლინგვისტიკური შესწავლა ტოპონიმთა „ადრესატულ“ ერთმნიშვნელობას გვიდასტურებს და ხაზს უსვამს ონომათა მნიშვნელობას „სხვადასხვა მეცნიერისათვის: გეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ეკონომიკური ისტორია, ფოლკლორისტიკა. ხშირად ტოპონიმები წერილობით ძეგლებზე უფრო ძველია, ამ შემთხვევაში ტოპონიმის ისტორიული ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, არქეოლოგიის კვლევის საგანია“ (დლონტი, 1988:235).

დვალეთის ოიკონიმების განხილვა გვიდასტურებს, რომ ოიკონიმები კონკრეტულ ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფების დასახლების დროს ყალიბდება. ამ ტერმინებს შეაპირობებს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული, რელიგიურ-კულტურული მოვლენები. მოხსენებაში ნაჩვენებია, როგორ იცვლება დიაქრონიულად ონომები დვალეთის ტერიტორიაზე ეპოქალურ ცვლილებებთან ერთად, ან ეს ონომასტიკა ინარჩინებს პირველ სახეს და ყველა ისტორიულ

წყაროზე უკეთ, უტყუარად „მოგვითხრობს“ ამ ეთნიკური ჯგუფის ისტორიას (ენა და ენობრივი მასალა ის ისტორიაა, რომლის გაყალბება ვერ ხერხდება).

მოხსენებაში გაანალიზებულია დვალეთის ონომასტიკა სრულად და, განსაკუთრებით ტოპონიმის „ბირთვი“ – ოიკონიმები, ამ ტოპოერთეულთა ლექსიკური მნიშვნელობა, სახელდების ეტიმოლოგია, სტრუქტურული აგებულება, ნომინაციათა სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები. ლინგვისტურ მიმართებებთან ერთად წარმოდგენილია პრობლემის ექსტრალინგვისტიკური, ფსიქოლინგვისტიკური, სემასიოლოგიური და შეპირისპირებითი კვლევების შედეგები. მოხსენებაში განხილულია ოიკონიმთა სახეები: გეოგრაფიული, ისტორიული, ანთროტოპონიმისტიკური, ზოონიმური, ხალხური (ეტიმოლოგიური), მეტამორფოზული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ დვალეები ქართველთა ერთ-ერთი გამქრალი ეთნოლინგვისტიკური ჯგუფია, რომელთა საცხოვრისი ლოკალიზებულია ცენტრალურ კავკასიაში მდებარე ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე, რისი დასტურიცაა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ქართული ონომები და მათი ლინგვისტიკური ანალიზი. აღნიშნული დასკვნა სრულად ეთანხმება დვალეთის ისტორიოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ კვლევათა შედეგებს.

ლიტერატურა:

- თოფჩიშვილი, რ.** (2016). დვალეები და დვალეთი. თბილისი : უნივერსალი.
მალრაძე, ვ. (1988). გეოგრაფიული სახელები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, მეცნიერება, თბილისი.
ღლონტი, ალ. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძველები, თბილისი: განათლება.
ჯორბენაძე, ბ. (1976). ტოპონიმისტიკური მუშაობა თბილისის უნივერსიტეტში, „კავკასიის ონომასტიკა“, მაჰაჩყალა.

The report discusses the onomastic empirical material of the indigenous historical-ethnographic region of Georgia – Dvaleti and Dvals (Dval – ethnic Georgians, Georgian ethnographic group) considering the onomastic universals, its linguistic and extralinguistic aspects. The study pays special attention to toponymy, in particular, oikonyms, as lexical units denoting habitat, the in-depth study of which allows us to consider this linguistic phenomenon in different contexts, in particular, to determine its relation to different fields of science (geography, geology, biology and astrology), history, archeology, Psycholinguistics and its relation to extralinguistic and psycholinguistic factors. The report discusses onomastics in terms of the origin of each onom and their relation to the spoken language or already extinct language (Ossetian, Georgian). Structural-semantic analysis of Dvaleti onomastics, especially the linguistic study of oikonyms (Oikonimia is a Greek word οἶκοςῶνομα, which means “dwelling”, “city”) confirms the “addressee” unambiguity of toponyms and emphasizes the importance of onomas Archeology, Economic History, Folklore. Often toponyms are older than written monuments, in this case toponymy is the subject of research in historical lexicology, dialectology, archeology ”(Glonti, 1988: 235).

A review of Dvaleti oikonyms confirms that oikonyms are formed during the settlement of ethnic groups in a particular area. These terms are related to various historical-geographical, religious-cultural events. The report shows how the onomas change diachronically with the epoch-making changes in the Dvaleti area, or this onomastka retains its original appearance and, better than all historical sources, unmistakably “tells” the history of this ethnic group (language and linguistic material is history that cannot be falsified).

The report analyzes Dvaleti onomastics in full and, especially, the “core” of toponymy – oikonomies, the lexical meaning of these toponyms, the etymology of the names, the structural of the name, the syntagmatic and paradigmatic relations of the nominations. The results of extralinguistic, psycholinguistic, semasiological and contrast studies of the problem are presented together with the linguistic relations. The report discusses the types of oikonyms: geographical, historical, anthroponymic, zoonymous, folk (etymological), metamorphotic.

Based on all the above, it is concluded that the Dval are one of the extinct ethnolinguistic groups of Georgians, whose habitat is located in the territory of the historic Dvaleti in the Central Caucasus, as evidenced by the Georgian onoms in the area and their linguistic analysis. This conclusion is in full agreement with the results of Dvaleti historiographical and ethnographic research.

References:

- Tophchishvili, R.** (2016). Dvalebi da Dvaleti [Dvals and Dvaleti]. Tbilisi: Universali.
- Magradze, V.** (1988). Geografiuli saxelebi [Geographical Names]. kartuli sitq vis kulturis sakitxebi [Issues of Georgian Speech Culture], VIII, Tbilisi: Mecniereba.
- Glonti, A.** (1988). Kartuli leksikologiis sapuzvlebi [Fundamentals of Georgian Lexicology]. Tbilisi: Education, Ganatleba.
- Jorbenadze, B.** (1976). toponimiḳuri muṣaoba tbilisis saxelmḳipo universitetṣi [Toponymic work at Tbilisi State University]. ḳavḳasiis onomastiḳa [Caucasus Onomastics]. Makhachkala.

მარინა ცვეტაევას ეპისტოლარული
იდოლექტი

THE EPISTOLARY IDIOLECT OF MARINA TSVETAEVA

ნატალია ბასილაია
Natalia Basilaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მარინა ცვეტაევა, იდოლექტი,
ეპისტოლარული

Keywords: Marina Tsvetaeva, Idiolect, epistolary

მარინა ცვეტაევასა და ბორის პასტერნაკის მიმონერა იმ მკვლევართა ყურადღების საგანია, რომლებიც ორი პოეტის წერილების სხვადასხვა ასპექტს აანალიზებენ. მოხსენებაში დეტალურადაა განხილული მარინა ცვეტაევას ეპისტოლარული იდიოლექტი „თანაბრად დიადი“ პოეტისადმი მიწერილი საპასუხო წერილების მაგალითზე, კერძოდ, დეტალურად არის გაანალიზებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მარინა ცვეტაევას დამოკიდებულება წერილის ფენომენტთან; მისი ინდივიდუალური გაგება ამ ნომინაციის სემანტიკის შესახებ; პოეტის მიერ წერილის ნაკითხვის მანერის ორიგინალურობა; როგორც წერილებში, ისე მარინას პოეტურ ნაწარმოებებში ნაპოვნი მეტაფორული ფრაზების ამოხსნის მიდგომის პრინციპები; მის შეტყობინებებში ინფორმაციის წარმოდგენის გზები; მიმონერა მარინა ცვეტაევასა და ბორის პასტერნაკს შორის, როგორც ფსიქოლოგიური დრამის დისკურსის ეპისტოლარული მრავალფეროვნება და ა.შ.

მარინა ცვეტაევას და ბორის პასტერნაკის არაჩვეულებრივი, პოეტური წერილები ერთმანეთისადმი ყველაზე მეტად წააგავს აღელვებულ და, შესაბამისად, გარკვეულწილად დაბნეულ კამათს ან საუბარს საკუთარ თავთან, როდესაც ადამიანი სკოლის გრამატიკის მკაცრი წესებისთვის არ იცლის. ეპისტოლარული დიალოგის მონაწილეთა წერილების სტილი ასახავს მათი ქცევის ტიპს ცხოვრებაში, ნათლად ავლენს მათ გამოსახულებებს, თითოეული ადრესატი მოქმედებს, როგორც გარკვეული კულტურული ნიღბის გამომხატველი.

The epistolary intercourse between Marina Tsvetaeva and Boris Pasternak is the subject of close attention of researchers analysing different aspects of the letters of the two poets. The article considers in detail the epistolary idiolect of Marina Tsvetaeva on the example of her reply letters to the poet “of equal size”, in particular, it analyzes in detail such issues as Marina Tsvetaeva; attitude to the phenomenon of letter; her individual understanding of the semantics of this nomination; the originality of the manner of reading the letter by the poet; principles of approach to solving metaphorical phrases found both in letters and in Marina Tsvetaeva's poetic works; ways of presenting information in her letters; epistolary intercourse between Marina Tsvetaeva and Boris Pasternak as an epistolary variety of psychological drama discourse, etc.

ივანე ჯავახიშვილი – ლინგვისტიკური
კავკასიოლოგიის მესაძირკვლე
საქართველოში

IVANE JAVAKHISHVILI – THE FOUNDER OF THE STUDIES
IN CAUCASIAN LINGUISTICS IN GEORGIA

ამირან ბასილაშვილი

Amiran Basilashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ივანე ჯავახიშვილი, ლინგვისტიკური
კავკასიოლოგია, მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური
კვლევები

Keywords: Ivane Javakhishvili, Studies in Caucasian Linguistics,
Morphological-Etymological Search

თბილისში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით ახალი ერა იწყება ქართულ მეცნიერებაში. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან და საზღვარგარეთის სხვა სამეცნიერო კერებიდან ქართველ ინტელექტუალთა ჯგუფმა, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, თავი მოიყარა თბილისში, ახალდაარსებულ უნივერსიტეტში, და აქედან, კავკასიის კულტურული ცენტრიდან, დაიწყო ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ძიებანის წარმართვა.

კავკასიური ენებისა და კავკასიელი ხალხის ისტორიის შესწავლის საკითხი ქართულ-ქართველური ენებისა და ქართველი ერის ისტორიის კვლევასთან ერთად პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დადგა დღის წესრიგში. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კონცეფცია საქართველოს კავკასიის კონტექსტში შესწავლას გულისხმობდა. „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთტომეულს მეცნიერმა „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“ (ორ წიგნად) წაუმძღვარა. მარტო ამ ნაშრომთა სახელწოდებების გაცნობაც საკმარისია ზემოთქმულში დასარწმუნებლად. პირველი წიგნის სახელწოდებაა „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“. ქართველურ ენათა კავკასიურ ენებთან მიმართებას ეძღვნება მეორე წიგნი, რომელსაც ეწოდება „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.

ქართულ-კავკასიური კვლევების წარმოება ივანე ჯავახიშვილისთვის დედუქციური, აპრიორულად ფიქსირებული სამეცნიერო მოსაზრების გამოძახილი არ ყოფილა, არც გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიით ყოფილა ნასაზრდოები, ის ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარეობდა, რომელსაც მეცნიერს ქართველთა ვინაობა-სადაურობის ძიება უკარნახებდა.¹ ქართველთა ეთნოგენეზის მხოლოდ ქართველურ ენათა მასალის გათვალისწინებით კვლევისას ივ. ჯავახიშვილი წააწყდა დაბრკოლებას: „ჩემთვის ცხადი შეიქმნა,

¹ ივანე ჯავახიშვილი კრიტიკული, პირუთვნელი, გაუყალბებელი და პოლიტიკური თუ სხვა სახის იდეოლოგიისგან თავისუფალი ისტორიის მომხრეა. ამაში დასარწმუნებლად, თუნდაც, იაკობ გოგებაშვილთან პოლემიკაში შექმნილი ნაშრომ „მამულიშვილობა და მეცნიერების“ გახსენებაც საკმარისია.

რომ მართო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისთვის ე. წ. კავკასიური ერებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტიკური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა“ (ჯავახიშვილი, 1937, გვ. 11).

ივანე ჯავახიშვილის დასახელებული ფუნდამენტური ნაშრომი თოთხმეტი წლის განმავლობაში იწერებოდა და 1937 წელს გამოქვეყნდა. მასზე მუშაობა მეცნიერს 1923 წელს, უნივერსიტეტის დაფუძნებიდან ხუთი წლის შემდეგ, დაუწყო. ქართველურ-კავკასიური ენების გენეზისური მიმართების შესწავლა ივანე ჯავახიშვილს ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად სჭირდებოდა. ქართველთა წარმომავლობის სისტემური ენათმეცნიერული შესწავლა მისთვის ძირითად და თანაც გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან მეცნიერს არ აკმაყოფილებდა დარგში არსებული მიღწევები. ასევე, მას, როგორც ისტორიკოსს, სურდა, ლინგვისტურად არგუმენტირებული საფუძველი შეექმნა ისტორიული კვლევების დაწყებამდე. ამიტომ მოჰკიდა ხელი არცთუ ნაცნობ სფეროს – ენათმეცნიერული პრობლემების დამუშავებას – ქართველური და მათი მონათესავე კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების კვლევის საკითხს.

ივანე ჯავახიშვილმა ისტორიულ ლინგვისტიკას მიმართა, ისტორიზმი აიღო მთავარ პრინციპად ქართველურ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური ძიებანის დროს. ამაზე მიგვიტოთებს საკუთრივ ნაშრომის სათაურში გამოტანილი სიტყვები „თავდაპირველი ბუნება“. მკვლევარს სრულად ჰქონდა გაცნობიერებული დიაქრონიული ლინგვისტიკის მნიშვნელობა ენათა ნათესაობის დამტკიცებისთვის.

ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა კავკასიურ ენათა მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიურ კვლევამდე შედარებითი ფონეტიკის დამუშავების აუცილებლობა. ასეთი განზრახვაც ჰქონია, მასალებიც მოუმზადებია, მაგრამ რიგი მიზეზების, უმთავრესად კი, კავკასიურ ენებში ფონეტიკურ და მორფოლოგიურ მოვლენათა მჭიდრო კავშირისა და ურთიერთგანმაპირობებლობის, გამო გადაუფიქრებია.

კვლევის დასაწყისში კავკასიურ ენათა ნათესაობის რწმენა, როგორც თავად ივანე ჭავჭავიძევილი აღნიშნავდა, ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის¹ შემდეგ სამეცნიერო დებულებად გადაიქცა: „აქამდე განუღი შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-ლილღ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც-კი უნდა ჰქონოდათ...“ (ჭავჭავიძევილი, 1937, გვ. 622).

საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ ქართველური ენების კავკასიურ ენებთან ნათესაობა დადებითად არის გადაწყვეტილი. ამავე შრომაში ფორმულის სახე მიიღო მეცნიერის კონცეფციამ: „მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარშემოზღუდვილობისგან ფართო ასპარეზზე გაგვიყვანს და ყოველმხრივსაინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს“ (ჭავჭავიძევილი, 1937, გვ. 625).

ამდენად, ივანე ჭავჭავიძევილი უნდა ჩაითვალოს მესაძირკვლედ ლინგვისტიკური კავკასიოლოგიისა, რომელსაც შემდეგ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ ეწოდა მისივე მოწაფის, არნოლდ ჩიქობავას, მიერ.

1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა მსოფლიოში პირველი კავკასიურ ენათა კათედრა. ახლად დაარსებულ კათედრას გადაუდებელი ამოცანები უნდა გადაეჭრა, ამიტომ იყო, რომ დრო შედარებით შესწავლაზე მეტად კავკასიურ ენათა აღწერითი ტიპის გრამატიკების დამუშავებასა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნას დაეთმო, აგრეთვე, ლექსიკონთა შედგენას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ნაშრომი, რომელიც თბილისის

¹ ტერმინი „ისტორიულ-შედარებითი“ არ არის გამოყენებული ტრადიციული გაგებით. აქ იგულისხმება რამდენიმე მონათესავედ ნავარაუდები ენის შედარებითი მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური შესწავლა ისტორიულ ასპექტში ამ ენათა ნათესაობის დამტკიცების მიზნით.

კავკასიოლოგიური სკოლის მიერ შეიქმნა, არის არნოდ ჩიქობავას „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942). ამ ნაშრომში ავტორი სწორედ ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახულ მიმართულებას მიჰყვება, კერძოდ, იკვლევს ქართველურ ენათა ფუძეთქმნადობის პრობლემას – სახელური ფუძეების აგებულებას – ძირის, გრამატიკული კლასის კატეგორიის ფორმანტებისა (ივანე ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით: სქეს-კატეგორია) და დეტერმინანტი სუფიქსების საკითხს. არნ. ჩიქობავას აზრით, კვლევის შედეგი სხვა კავკასიურ ენათა ფუძეთქმნადობის მოდელის იდენტური აღმოჩნდა. ამ კონტექსტში გასაგებია, რატომ გახაზავს არნ. ჩიქობავა „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში“ ივანე ჯავახიშვილის ზემოთაღნიშნულ სიტყვებს, სადაც საუბარია ქართველურ-კავკასიურ ენათა შესწავლის მიმართულებაზე, მეთოდებსა და მასალაზე („... მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარშემოზღუდვილობისაგან ფართო ასპარეზზე გავიყვანს და ყოველმხრივ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს.“) (ხაზგასმა არნ. ჩიქობავასი) (ჩიქობავა, 2008, გვ. 391).

ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში სპეცკურსსაც კითხულობდა, რომელიც ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხის წარმომავლობის პრობლემისადმი იყო მიძღვნილი. გიორგი მელიქიშვილის მოგონებით, რომელიც თავად იყო ამ კურსის მსმენელი, ლექციებში ცენტრალური ადგილი ეკავა ენათმეცნიერულ მასალას, რომლითაც ივანე ჯავახიშვილი ცდილობდა ქართველური და კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცებას (მელიქიშვილი, 2019, გვ. 64).

ივანე ჯავახიშვილის დატოვებული ანდერძის, რომელიც ქართველთა მიერ კავკასიური ენების შესწავლის აუცილებლობას გულისხმობს („ჩემი ღრმა რწმენით, რაკი გამოირკვა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავის ერისა და ქვეყნის...“ (ჯავახიშვილი, 1937, გვ. XV), აღმსრულებელი დღეს კავკასიოლოგიის ინსტიტუტია, რომლის წარმომადგენლებიც ცდილობენ, დიდი წინაპრების დასახულ გზაზე ღირსეულად იარონ.

ლიტერატურა:

- მელიქიშვილი გ.** (2019). მოგონება ივანე ჯავახიშვილზე, გიორგი მელიქიშვილი 100, 63-64, თბილისი.
- ჩიქობავა არნ.** (1942). სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ჩიქობავა არნ.** (2008). იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი: „უნივერსალი“.
- ჯავახიშვილი ივ.** (1904). მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფილისი.
- ჯავახიშვილი ივ.** (1937). ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი: „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა“.

A new era in Georgian science begins with the establishment of the First National University in Tbilisi. Ivane Javakhishvili led a group of Georgian intellectuals from the University of St. Petersburg and other scientific centers abroad. They all gathered at the newly established University in Tbilisi at the Caucasus Cultural Center, where the Kartvelological-Caucasian research began.

Studying the languages of the Caucasus and the people of the Caucasus, along with the study of the history of the Georgian-Kartvelian languages and the Georgian nation, has been on the agenda since the founding of the first Georgian University. Ivane Javakhishvili's scientific concept was to study Georgia in the context of the Caucasus. The "Introduction to the History of the Georgian Nation" (in two books) were followed by the five-volume "History of the Georgian Nation". Familiarity with the titles of these papers alone is enough to prove the above. The first book's title is "Historical-Ethnological Problems of Georgia, the Caucasus, and the Middle East". The second book is dedicated to the relation of Kartvelian languages to Caucasian languages, which is called "The Original Nature and Kinship of the Georgian and Caucasian languages".

Ivane Javakhishvili encountered an obstacle while researching the ethnogenesis of Georgians only considering the material of Kartvelian languages: "It became clear to me that it is impossible to identify and resolve the

issues of Georgian disputes and ancient culture only by using existing ethnological and linguistic sources and only by analyzing Georgian-Kartvelian language material. For this, ethnographic and linguistic materials of Caucasian nations and languages are still necessary” (Javakhishvili, 1937, p. XI).

Ivane Javakhishvili needed to study the genesis of the Kartvelian-Caucasian languages to solve historical problems. He, as a historian, wanted to lay down a linguistically reasoned basis before beginning historical research.

Ivane Javakhishvili applied historical linguistics; he took historicism as the main principle during the morphological-etymological search of Kartvelian-Caucasian languages. The researcher was fully aware of the importance of diachronic linguistics in affirming the kinship of languages.

In the landmark work “The Original Nature and Kinship of the Georgian and Caucasian Languages”, the relationship between Kartvelian and Caucasian languages is resolved. In the same work, the concept of the scientist can be seen as a formula: “Only in this direction, with these methods and the use of such materials will it be possible to pave the way, which will take us to a wider arena from now on and will be able to solve an interesting and fundamental problem in every way” (Javakhishvili, 1937, p. 625).

Thus, Ivane Javakhishvili should be considered the founder of Linguistic Caucasology, later called “Iberian-Caucasian Linguistics” by his student Arnold Chikobava.

It should be noted that one of the most interesting works created by the Tbilisi School of Caucasology is Arnold Chikobava’s “The Oldest Structure of Noun Bases in Kartvelian Languages” (1942). In this paper, the author follows Ivane Javakhishvili’s steps; in particular, he studies the problem of the root formation of Kartvelian languages – the structure of the noun bases – the issue of root, grammatical class category formats, and determinant suffixes. According to Arnold Chikobava, the result of the research was identical to the model of the root formation of other Caucasian languages.

The will left by Ivane Javakhishvili, which stipulates the need for Georgians to study Caucasian languages, is being enforced today by the Institute of Caucasology. The representatives of latter are trying to walk the path set by their great ancestors.

References:

- Melikishvili, G.** (2019). Mogoneba ivane žavaḡišvilze [Memories of Ivane Javakhishvili], Giorgi Melikishvili 100, 63-64. Tbilisi.
- Chikobava, Arn.** (1942). Saḡelis fuḡis uzvelesi agebuleba kartvelur enebši [The Oldest Structure of Noun Bases in Kartvelliian Languages]. Tbilisi: Press of the Georgian SSR Science Academy.
- Chikobava, Arn.** (2008). Iberiul-ḡavḡasiur enata šešçavlis ištoria [History of the Study of Iberian-Caucasian Languages]. Tbilisi: Universal.
- Javakhishvili, Iv.** (1904). Mamulišviloba da mecniereba. [Patriotism and Science]. Tbilisi.
- Javakhishvili, Iv.** (1937). Kartuli da ḡavḡasiuri enebis tavadapirveli buneba da natesaoba. [The Original Nature and Kinship of Georgian and Caucasian languages]. Tbilisi: press of the Georgian SSR Science Academy.

გალაკტიონის პოეზიის რეცეფცია XX საუკუნის
50-იანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაში

A RECEPTION OF GALAKTION'S POETRY IN THE
LITERARY CRITIQUE OF THE 1950S

ლევან ბებურიშვილი

Levan Beburishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ქართული კრიტიკა,
გალაკტიონ ტაბიძე

Keywords: Georgian literature, Georgian criticism, Galaktion Tabidze

XX საუკუნის 50-იანი წლები საეტაპო მნიშვნელობის პერიოდია საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ისტორიაში. ამ ათწლეულში ბევრად უფრო ინტენსიური გახდა ლიტერატურული პროცესი, ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის მწერლები და კრიტიკოსები, „დიდი ბელადის“ გარდაცვალების შემდეგ კი დადგა ე. წ. „დათობის“ ხანა, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში დიდი გარდატეხის დასაწყისად იქცა.

40-იანი წლების მიწურულს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, შეიძლება ითქვას, ახალი ეტაპი იწყება. ამ პერიოდში საბოლოოდ ფორმდება გალაკტიონის მეორე პოეტური რეფორმა. თვისებრივი სიახლე თვალსაჩინო ხდება როგორც თემატიკის, ისე პოეტური სტილის სფეროში; პოეტის ყურადღების ცენტრში ექცევა ზნეობრივი პრობლემატიკა. მის პოეზიაში იჭრება ირონიულ-პაროდიული ნაკადი; იცვლება პოეტური ინტონაცია; საოცარ სისადავეს აღწევს გალაკტიონის პოეტური ენა.

საინტერესოა, რამდენად შენიშნა ყოველივე ეს გალაკტიონის თანამედროვე ლიტერატურულმა კრიტიკამ და საერთოდ, რა პრობლემებით ინტერესდებოდა 50-იანი წლების გალაკტიონოლოგია.

მთლიანად, 50-იანი წლების გალაკტიონოლოგიაში რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა:

პირველ ნაკადს ქმნის ოფიციალური საბჭოთა კრიტიკა (დ. ბენაშვილი, ს. ჭილაია, გ. ჯიბლაძე, ე. შუშანია, გ. მერკვილაძე და სხვ.), რომელიც, სოციოლოგიზმის მეთოდზე დაყრდნობით, განიხილავს გალაკტიონის შემოქმედებით ევოლუციას, უკავშირებს პოეტის პესიმიზმურ განწყობილებებს პირველი რევოლუციის დამარცხებას და ცდილობს, გალაკტიონი დასახოს იმთავითვე მებრძოლი, რევოლუციური სულისკვეთების მქონე პოეტად.

მეორე მიმართულებას ქმნიან გალაკტიონის მოწინააღმდეგე პოეტები და მათი წრის კრიტიკოსები, რომლებიც კატეგორიულად უპირისპირდებიან საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეების მცდელობას, ჩამოშორდეს გალაკტიონს „დეკადენტისა“ და „სიმბოლისტის“ წოდება. ისინი ხელიდან არ უშვებენ პოეტისათვის „ძველი ცოდვების“ შეხსენების შესაძლებლობას.

მესამე მიმართულებას ქმნიან ლიტერატურის ისტორიკოსები (მ. ებრალიძე, ქს. სიხარულიძე, გრ. კიკნაძე), რომლებიც თავიანთი

კომპეტენციის შესაბამისად იკვლევენ გალაკტიონის ლიტერატურულ ტრადიციასთან დამოკიდებულების საკითხს (მ. ებრალიძე – ძველ ქართულ ლიტერატურასთან, ქს. სიხარულიძე – ფოლკლორთან, ხოლო გრ. კიკნაძე – XIX საუკუნის ქართული ლირიკის ტრადიციებთან მიმართებით).

მეოთხე ნაკადად კი უნდა ვიგულოვოთ ესეისტური კრიტიკა (თ. ჭილაძე, გ. ასათიანი, ა. გაწერელია). ეს წერილები შესრულებულია ესეისტური მანერით და თავისუფალია საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისათვის ასერიგად დამახასიათებელი ტრაფარეტულობისაგან. წერილების ავტორები წინდაწინ შემუშავებული თვალსაზრისით კი არ მიდიან ლიტერატურულ ფაქტთან, არამედ ტექსტებთან ცოცხალი, უშუალო მიმართების შედეგად აღძრულ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემენ. ამ ნაშრომთა საერთო მახასიათებელია ის, რომ მათ ავტორებს გალაკტიონის პოეზია, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებთ, როგორც ლიტერატურული ფენომენი და არა როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ცნობიერების ასახვის ფორმა. აღნიშნული პუბლიკაციების კიდევ ერთი საერთო თავისებურება ისაა, რომ მათში ჩნდება არამ ხოლოდ გალაკტიონის პოეზიის, არამედ პოეტის ფსიქოტიპის დახასიათების მოთხოვნილებაც. ამ პუბლიკაციებში უკვე იგრძნობა ავტორთა ერთგვარი დისტანცირება შეფასების ობიექტისაგან, რაც იმით გამოიხატება, რომ კრიტიკოსები გალაკტიონის შემოქმედებას განიხილავენ არა როგორც მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთ შენაკადს, არამედ როგორც უკვე ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებას, გალაკტიონს კი მიიჩნევენ რუსთველის, ილიას, აკაკისა და ვაჟას თანასწორ პოეტურ ფიგურად. ამ წერილების მიხედვით, გალაკტიონი თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოჩენილ პოეტად კი არ წარმოგვიდგება, არამედ შორეულ, მიუწვდომელ შემოქმედად, კლასიკოსად, რომელიც უკვე მითის ნაწილადაა ქცეული.

ლიტერატურა:

ასათიანი, გ. (1959). რაც დავიწყებით არ იბინდება. „ცისკარი“, 4, 56-68.

ბენაშვილი, დ. (1955). პოემის სპეციფიკის საკითხისათვის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. „ლიტერატურული ძიებანი“, IX, 69-79.

- განერელია, ა.** (1938). გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა. „მნათობი“, 4, 36-48.
- კიკნაძე, გრ.** (1957). მეტყველების სტილის საკითხები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ნატროშვილი, გ.** (1953). გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, „კომუნისტი“, 12, 2-3.
- ჟღენტი, ბ.** (1959). მგზნებარე მომღერალი. „ლიტერატურული გაზეთი“, 27, 3-4.
- სიხარულიძე, ქ.** (1955). გ. ტაბიძე და ხალხური შემოქმედება. „ლიტერატურული ძიებანი“, IX, 24-36.
- ჭილაძე, თ.** (1958). გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის ბუნებისათვის. „მნათობი“, 7, 59-74.
- Sikharulidze, N.** (2018). Two Sketches about Georgian-Ukrainian Literary Relations. Слово і Час, (3), 37-44.

The 1950s marked a turning point in the history of Soviet public life and culture. During this decade, the literary process became much more intense, a new generation of writers and critics came to the arena, and after the death of “The Great Leader” came the era of “warming”, which became the beginning of a great change in the field of literature and art.

At the end of the 40s, it can be said that a new stage begins in the work of Galaktion Tabidze. It was during this period that Galaktion’s second poetic reform was finally formed. Qualitative novelty becomes visible in the field of both thematic and poetic style; Moral issues are the focus of the poet. An ironic-parody flow digs into his poetry; Is changing the poetic intonation; The poetic language of Galaktion achieves amazing controversy.

It is interesting to see how much all this has been noticed by Galaktion’s modern literary critique, and in general, by what problems the galaktinology of the 1950s was interested in.

Overall, several major areas of galaktinology in the 1950s have been identified:

The first stream is created by official Soviet criticism (D. Benashvili, S. Chilaia, G. Jibladze, E. Shushania, G. Merkviladze, etc.), which, based on the method of sociology, discusses Galaktion’s creative evolution, links the poet’s pessimistic views to the defeat of the First Revolution.

The second direction is created by the poets who oppose Galaktion and the critics of their circle, who categorically oppose the attempt of the Soviet literary critics to remove Galaktion from the title of “decadent” and “symbolist”. They do not miss the opportunity to remind the poet of “old sins”.

The third direction is created by literary historians (M. Ebralidze, Ks. Sikharulidze, Gr. Kiknadze), who according to their competence study the issue of Galaktion’s relationship with the literary tradition (M. Ebralidze – with old Georgian literature, Ks. Sikharulidze – with folklore, and Gr. Kiknadze in relation to the Georgian lyric traditions of the century).

In the fourth stream we should consider essayistic criticism (T. Chladze, G. Asatiani, A. Gatsrelia). These articles are written in an essayistic manner and are free from the stereotypes so characteristic of Soviet literature. A common feature of these works is that their authors are interested in Galaktion’s poetry primarily as a literary phenomenon and not as a form of reflection of a certain public consciousness. Another common feature of these publications is that they require not only Galaktion’s poetry but also a description of the poet’s psychotype. In these publications, one can already feel the authors’ distancing from the object of evaluation, which is reflected in the fact that critics consider Galaktion’s work not as one of the tributaries of the current literary process, but as belonging to the history of literature. According to these articles, Galaktion does not even appear as one of the most prominent poets of modern times, but as a distant, inaccessible creator, a classic, who has already become the part of the myth.

References:

- Asatiani, G. (1959). Rac daviçqebit ar ibindeba [Which will not be forgotten]. *Cisqari [Tsiskari]*, 4, 56-68.
- Benashvili, D. (1955). *poemis spëcipikis saqitxisatvis kartul sabçota liçeraturashi* [For the issue of the specifics of the poem in Georgian Soviet literature]. *liçeraturuli ziebani [Literary Searches]*, IX, 69-79.
- Gatsrelia, A. (1938). *Galakñion tabizis liriqa* [Lyrics by Galaktion Tabidze]. *Mnato*, 4, 36-48.
- Kiknadze, Gr. (1957). *Meçqvelebis stilis saqitxebi* [Speech style issues]. Tbilisi: TSU Press.

- Natroshvili, G. (1953). Galaḡḡion ṡabizis ṡoezia, [Poetry of Galaktion Tabidze]. "ḡomunisti [newspaper: Communist], 12, 2-3.
- Zhghenti, B. (1959). Mgznebare momgherali [Passionate singer]. „liṡeraṡuruli gazeti“ [Literary Gazette], 27, 3-4.
- Chiladze, T. (1958). galaḡḡion ṡabizis liriḡis bunebisatvis [About the essence of Galaktion Tabidze's lyrics]. Mnatobi, 7, 59-74.
- Sikharulidze, K. (1955). Galaḡḡion ṡabize da ḡalḡuri šemokmedeba [Galaktion Tabidze and folk art].
- Liṡeraṡuruli ziebani“ [Literary Searches], IX, 24-36.
- Sikharulidze, N. (2018). Two Sketches about Georgian-Ukrainian Literary Relations. Слово i Час, (3), 37-44.

**სიტუაციური ომონიმია და მისი დაძლევის
ლინგვისტიკური ხერხი ქართულ ენაში**

**SITUATIONAL HOMONYMY AND THE LINGUISTIC WAY
OF OVERCOMING IT IN THE GEORGIAN LANGUAGE**

არსენ ბერთლანი, ქეთევან გიგაშვილი
Arsen Bertlani, Ketevan Gigashvili

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სიტუაციური ომონიმია, სიტუაციურ
ხმოვანთა კვანტიტეტი, სიტუაციური ფონემა.

Keywords: Situational homonymy, Situational vowel quantity,
Situational phoneme.

მოხსენება ეხება ქართულ ენაში შენიშნულ ერთ საინტერესო ლინგვისტურ მოვლენას, რომელსაც შეიძლება ანალოგები აღმოაჩნდეს სხვა ენებშიც, თუმცა ის დღემდე არასდროს გამხდარა ლინგვისტოა ყურადღების საგანი. ჩვენ მას „სიტუაციური ომონიმია“ ვუწოდეთ და ასე გავმიჯნეთ ის ტრადიციული ომონიმისგან. როგორც სახელი მიგვანიშნებს, მისი არსებითი მახასიათებელი სიტუაციურობაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ორი სიტყვა ომონიმურ ფორმებს მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში იღებს, რეალურად კი ისინი ომონიმები არ არიან. მაგალითად, ფრაზაში „**მამაც მამაც** მეომრებს შორის ზის ('My **father also** is sitting among the **brave warriors**') - პირველი სიტყვა არის არსებითი სახელი „მამა“, რომელსაც ერთვის გამაძლიერებელი ნაწილაკი „ც“, ხოლო მეორე - ზედსართავი სახელი „მამაცი“, რომელიც ირიბ ბრუნვაში წარმოდგენილია ფუძის სახით, რაც იწვევს კიდევ პირველ სიტყვასთან მის ბგერობრივ დამთხვევას. იმის გათვალისწინებით, რომ ენას, ზოგადად, ბუნდოვანება არ მოსწონს, მას „ეჩოთირება“ სიტყვათა სიტუაციურად განპირობებული ბგერობრივი თანხვედრა და შექმნილი უხერხულობის მოხსნას ცდილობს კონკრეტული ლინგვისტიკური ხერხით, ჩვენს შემთხვევაში ხმოვანთა კვანტიტეტით, კერძოდ, ომონიმურ წყვილში მოხვედრილ სიტყვებს ერთმანეთისაგან პირველი ხმოვნის სიგრძე-სიმოკლით განარჩევს, სადაც პირველი შედარებით გრძელია მეორეზე. ხმოვანთა კვანტიტეტი, როგორც ცნობილია, ქართულისთვის დამახასიათებელი არ არის. მას მხოლოდ ნეიტრალური ხმოვნები აქვს. ამ სიტუაციურად გამოვლენილი კვანტიტეტისთვის შევარჩიეთ ტერმინი „სიტუაციური კვანტიტეტი.“

პირველი ხმოვნები, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს სიგრძე-სიმოკლის მიხედვით უპირისპირდება, სიტყვათაგანმასხვავებლობით ფუნქციას ტვირთულობს - მიგვანიშნებს, რომ სემანტიკურად სხვადასხვა სიტყვასთან გვაქვს საქმე და ისინი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. ჩვეულებრივი ფონემებისგან ეს ხმოვნები იმით განსხვავდება, რომ სოციალურ ფუნქციას ისინი მოცემულ სიტუაციაში იძენენ, თითოეული ასეთი სიტყვა მეწყვილის გარეშე ხმარებისას ჩვეულებრივ, ნეიტრალურ ხმოვანს გამოავლენს. ამიტომ ჩვენ მათ „სიტუაციური ფონემები“ ვუწოდეთ.

აღნიშნული მოვლენა ყურადღებას იქცევს როგორც წმინდა ლინგვისტიკური (ქართული ენა სიტყვებს შორის გარეგნული სხვაობის დამყარების მიზნით იყენებს იმ ენობრივ რესურსს, რომელიც მას რეალურად არა აქვს), ისე ფსიქოლინგვისტიკური თვალსაზრისითაც (იგი გვიჩვენებს, როგორ იქცევა ენა სიტუაციურად შექმნილი დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად).

ჩატარებული კვლევა გვავარაუდებინებს, რომ სიტუაციური ომონიმია შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ ენაში და მის დასაძლევად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ესა თუ ის ლინგვისტიკური ხერხი.

The paper deals with one interesting linguistic occurrence observed in the Georgian language, which may have analogs in other languages, but it has never been the subject of linguists' attention. We called it the „situational homonymy” and thus we separated it from the traditional situational homonymy. As the term points out, its essential characteristic is situational nature, which means that the two words take homonymous forms only in a specific situation, when in fact they are not homonymous. For example, in the Georgian phrase – “**მამაც მამაც** მეომრებს შორის ზის” („**mamac mamac** meomrebs šoris zis”; “My **father** is **also** sitting among the **brave** warriors”) – the first word “მამაც” (“mamac”; “father”) is the noun which is accompanied by the reinforcing particle “ც” (too/also) and the second word is “მამაცი” (“mamaci” „brave”) – the adjective standing in the oblique case which causes its outward coincidence with the first word. Given that language, in general, does not like ambiguity, it “dismays” the situationally conditioned phonemic coincidence of words and tries to get rid of the created inconvenience in a specific linguistic way, in our case, by the vowel quantity, in particular, it distinguishes the first vowels of the words in this homonymous pair by the lengthiness-shortness, where the second is relatively shorter than the first (**mamac mǎmac**). The vowel quantity is not typical for the Georgian language. It has only neutral sounds. We have chosen the term “situational quantity” for this situationally identified event.

These first vowels, which in this case oppose each other by quantity, are charged with the function of differentiating words – they indicate that we are dealing with semantically different words and we should not con-

fuse them with each other. These vowels differ from ordinary vowels in that they acquire a social function in a given situation, while each such word reveals a normal, neutral sound when used separately, without a second member of the pair. That is why we call them “situational phonemes.”

This phenomenon attracts attention both from a purely linguistic point of view (the Georgian language uses a linguistic resource to establish an external difference between words, which it does not actually have), as well as from a psycholinguistic point of view (it shows how language behaves to avoid situationally created obstacles).

Based on our research, we suppose that situational homonymy can emerge in any language and languages may use this or that linguistic method to overcome it.

მარადიული სახეები კომპარატივისტული
თემატოლოგიის ჟღერში

ETERNAL CHARACTERS IN THE CONTEXT
OF COMPARATIVE THEMATOLOGY

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კომპარატივისტული თემატოლოგია,
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, მარადიული
სახეები

Keywords: Comparative Thematology, Comparative literary studies,
Eternal Characters

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევების არეალი მეტად მრავალნახნაგოვანია. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია კომპარატივისტულ თემატოლოგიას: თემატური მასალის მხატვრულ-ესთეტიკური თუ ისტორიულ-ფილოსოფიური ასპექტების დადგენას, თემატური ინვარიანტების წარმოჩენას, გარკვეული იდეური კომპლექსების თუ არქეტიპული სახეების ევოლუციის შესწავლას, ცალკეული მითების, თემების, სიუჟეტების დროსა და სივრცეში „გადაადგილების“ თავისებურებების გამოკვლევას და მათი ვარიაციების ჩვენებას ეპოქებისა თუ ლიტერატურულ-კულტურული სივრცეების მიხედვით და სხვ.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ტრადიციული სტრუქტურები განსხვავებული ტერმინებით მოიხსენიება: „ტრადიციული სიუჟეტები და სახეები“, „მოხეტიალე“, „მსოფლიო“, „საერთაშორისო“ სიუჟეტები, „მარადიული ტიპები“ და სხვ. ეს ტერმინები წარმატებით გამოიყენება როგორც ლიტერატურათმცოდნეობაში, ისე ხელოვნებათმცოდნეობასა და კულტურის ისტორიაშიც.

მარადიული სახეებს, რომლებიც „მოგზაურობენ“ ერთი ნაწარმოებიდან მეორეში, ერთი ეპოქიდან სხვა ეპოქაში, ქმნიან ლიტერატურული დისკურსის მდიდარ ინვარიანტულ არსენალს, აერთიანებთ მრავალი საერთო ნიშანი. მათ შორის უმნიშვნელოვანესია მაღალი სულიერება და მაღალმხატვრულობა, შინაარსობრივი ტევადობა. ისინი მარადიულ აქტუალობას ინარჩუნებენ სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში, ადვილად ახერხებენ ეროვნულ კულტურათა საზღვრების გადალახვას, ახასიათებთ პოლივალენტურობა, ადვილად გადადიან ხელოვნების ერთი დარგიდან მეორეში და სხვ.

ტრადიციული სიუჟეტებსა და სახეებს თითქმის ყველა ეპოქა და ხელოვნების დარგი მიმართავს. ყველა ეპოქას აქვს მისთვის საინტერესო სიუჟეტებისა და სახეების თავისებური „რეპერტუარი“, თუმცა ტრადიციული სიუჟეტებისა და სახეების გამოყენების სიბშირე განსხვავებულია სხვადასხვა ეპოქაში, ლიტერატურულ მიმდინარეობასა და ჟანრში. მაგალითად, მათ მიმართ ინტერესი უფრო მეტია ბალადებში, პოემებში, ტრაგედიებში, კლასიციზმში, რომანტიზმში, მითოლოგიურ რეალიზმში, უფრო ნაკლები - კრიტიკულ რეალიზმსა და ნატურალიზმში.

ტრადიციული სიუჟეტებისა და სახეების წარმოჩენის თვალსაზრისით განსაკუთრებით პროდუქტიულია პოსტმოდერნიზმი, რომლის გარეშეც დღევანდელი მსოფლიოს „კულტურული ლანდშაფტი“ წარმოუდგენელია. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ბოლო ათწლეულების განმავლობაში პოსტმოდერნისტული სამყაროს კულტურის წიაღში ცხოვრობს. პოსტმოდერნიზმი კი, თავის მხრივ, კულტურული ეპოქების ჯაჭვის შემაერთებელი მნიშვნელოვანი რგოლია.

ტრადიციული სიუჟეტებისა და სახეების მიმართ პოსტმოდერნის ეპოქის დიდ ინტერესს განაპირობებს პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის რიგი თავისებურებანი, პოსტმოდერნიზმის განმსაზღვრელი პარადიგმები თუ საბაზო პოსტმოდერნისტული მახასიათებლები: კოლაჟურობა, ორმაგი კოდირების გამოყენება, ავტორის სიკვდილი, ავტორის ნილაბი, ძველი ფასეულობების ირონიული გადაფასება, ინტერტექსტუალობა, პალიმფსესტის პრინციპი, ღიაობა, ცენტონურობა, ეკლექტიკა, მინიშნების ტექნიკა, კოლაჟურობა, ციტატური აბროვნება და ა.შ.

კომპარატივისტული თემატოლოგია შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი პოპულარული სფეროა, რომელსაც შეუძლია პასუხი გასცეს მსოფლიო ლიტერატურის მრავალ უმნიშვნელოვანეს საკითხს.

Comparative literary studies are a highly diverse phenomenon in which comparativist thematology occupies a prominent place. Comparative thematology determines the artistic-aesthetic or historical-philosophical aspects of thematic material, presents thematic invariants, studies the evolution of certain ideological complexes or archetypal types, and analyses the peculiarities of myths, topics, and themes “wandering” in space and time and presents their variations according to epochs or literary and cultural spaces, etc.

In modern literature, traditional structures are referred to by various terms: “traditional stories and characters”, “wandering”, “world”, “international” plots, “eternal types” and many more. These terms are successfully

used not only in literary criticism but also in art history and the history of culture.

The eternal characters that wander from one literary work to another, from one epoch to another, create a rich invariant arsenal of literary discourse and are united by many common signs. The most significant are high spirituality and high artistry, and their content capacity. They maintain eternal relevance in different epochs and different cultures, easily manage to cross the borders of national cultures, are characterised by polyvalence, easily move from one field of art to another, etc.

Traditional plots and characters are addressed by almost all eras and fields of art. Every epoch has its own “repertoire” of interesting stories and characters. However, the frequency of employment of traditional plots and characters differs in different epochs, literary movements and genres. For example, there is more interest in them in ballads, poems, tragedies, classicism, romanticism, mythological realism, and less in critical realism and naturalism.

Postmodernism is particularly productive in presenting traditional plots and characters, without which the “cultural landscape” of today’s world would be unimaginable. It can be claimed that the world has been living in the entrails of the culture of the postmodern world for the past decades. Postmodernism, in turn, is an important link in the chain of cultural epochs.

The great interest of the postmodern era in traditional stories and faces is due to many peculiarities of postmodernist aesthetics, among which are defining postmodernism paradigms or basic postmodernist characteristics: collage, the use of double coding, the death of the author, the mask of the author, the ironic reassessment of old values, intertextuality, the principle of palimpsest, openness, centrism, eclecticism, hint techniques, citation thinking, etc.

Comparative thematology is one of the most popular fields of comparative literature that can answer many of the most important questions posed in world literature.

ებრაული თემა ქართულ კულტურაში
XX საუკუნეში

THE JEWISH THEME IN GEORGIAN CULTURE
IN THE TWENTIETH CENTURY

ელენე გეგეშიძე
Elene Gegeshidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართველი ებრაელები, ჰარმონიული
თანაცხოვრება, მეგობრობა, სიყვარული

Keywords: Georgian Jews, harmonious coexistence, friendship, love

XX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემათა შორის ებრაელთა საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა. საუკუდ ჰარმონიულმა თანაცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ორივე ხალხის ყოფასა და კულტურაზე. ებრაულმა ყოფამ გაითავისა მთელი რიგი ქართული წესებისა, რაც ნათლად ვლინდება ებრაული ქორწილის, დაკრძალვის, გლოვის რიტუალებში.

საქართველოში მყოფი ებრაელები ქართველებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი არამარტო საერთო ტერიტორიაზე ცხოვრებით, არამედ საერთო ეკონომიკური ბაზის წარმოებითაც. ისინი ქართველებთან ერთად მისდევდნენ მიწათმოქმედებას, წარმატებით ეწეოდნენ მევენახეობა-მელვინეობას. სოფლის მეურნეობასთან ერთად ებრაელთა ერთი ნაწილი ხელოსნობასა და შინამრეწველობას მისდევდა: მეთუნეობას, დურგლობას, მენაღეობას, მექუდეობას, მღებრობას, მჭედლობას. ებრაელი ხელოსნები ქმნიდნენ საკუთარ სახელოსნოებს ან მცირე საწარმოო გაერთიანებებს – «ამხანაგობებს», რომლებშიც ძირითადი პროფესიის მიხედვით 2-3 ხელოსანი ერთიანდებოდა. ქართლში (გორში, ცხინვალში) ებრაელებს ჰქონდათ ღვინისა და არყის ჩამოსასხმელი ქარხნები, ჩაის შემფუთავი საამქრო, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სამკერვალოები და სხვ. ნიქოზში ებრაელები ფლობდნენ აგურის მცირე ქარხნებს, რომლებშიც ამზადებდნენ ალიზს, აგურსა და კრამიტს. ჰქონდათ სამხერხაოები, წისქვილები. რაჭაში ცნობილი იყვნენ ებრაელი მეთუნეები. ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა ყოფა-ცხოვრების წესის ურთიერთშედარება, ტრადიციულ კულტურათა ელემენტების განსხვავებებსა და მსგავსებებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ამ სფეროში არსებული მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა.

ქართველი ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებელობის მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტს სამმა ებრაელმა მოაწერა ხელი: მ. დავარაშვილმა, ი. ელიგულაშვილმა და ი. გოლდმანმა.

1918 წელს ქუთაისში გამოსვლა დაიწყო ებრაელთა ქართულ-ენოვანმა გაზეთმა „ხმა ებრაელისა“, ხოლო 1924 წ. თბილისში

გამოდიოდა ასევე ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „მაკაველი“. 1993 წლიდან დედაქალაქში ფუნქციონირებს ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი, რომლის მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი „ნაბიჯი თორისაკენ“. ამავე წლიდან გამოდის გაზეთი „მენორა“, რომელიც მკითხველს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ისრაელში მიმდინარე პროცესების თაობაზე, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ ებრაელებს საქართველოს ყოველდღიურობაზე უამბობს.

1990 წელს საქართველოში გაიხსნა „ებრაული სააგენტო ისრაელისათვის“, რომელიც აგრძელებს მონაწილეობას ებრაული სახელმწიფოს მშენებლობაში, აერთიანებს რა განუყრელი კავშირებით მსოფლიოს ებრაელებს, აძლიერებს მათ სულიერ და მატერიალურ კავშირს XXI საუკუნის ისრაელთან, რითაც ეწევა უნიკალური ფენომენის – ქართველი და ებრაელი ხალხის 26-საუკუნოვანი ძმური თანაცხოვრების პროპაგანდას.

ლიტერატურა:

ბააზოვი დ., გაზეთი „სამშობლო“. (1915). ქუთაისის რაბინის წერილის გამო, №247, გვ., 4, თბილისი.

გომართელი, ი. (1916). ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ქართველი ისრაელები, №39, გვ.4-5. თბილისი.

გაზეთი „სარბიელი“. (1991). მაქაბის მსოფლიო საქართველოს საზოგადება, 17.05. თბილისი.

გაზეთი „ხმა ებრაელისა“. (1918). №2, გვ., 16, თბილისი.

დავარაშვილი, ზ., ცაგარეიშვილი, თ. (2009). „ეთნოსები საქართველოში“, თბილისი.

„ეთნოსები საქართველოში“. (2008). საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი.

ჭიჭინაძე, ზ. (1904). „ქართველი ებრაელი“, ელექტრონის საბეჭდავი გრ. დიასამიძისა, სასახლის ქ. თბილისი.

Among the Georgian periodicals of the twentieth century, the issue of the Jews was one of the most important topics. For centuries, the harmonious coexistence between Georgians and Jews has had a certain impact on the life and culture of both peoples. Jewish life has embraced a number of Georgian rules, which are clearly manifested in the rituals of Jewish wedding, burial, and mourning.

The Jews in Georgia were closely connected with the Georgians not only by living in a common territory, but also by producing a common economic base. They pursued agriculture together with Georgians, successfully engaged in viticulture and winemaking. Along with agriculture, one part of the Jews pursued handicrafts and domestic industry: metallurgy, carpentry, handicrafts, carpentry, painting, and blacksmithing. Jewish artisans formed their own workshops or small industrial associations - "communities", in which 2-3 artisans were united according to their main profession. In Kartli (Gori, Tskhinvali) the Jews had wine and vodka bottling factories, a tea-packing workshop, a shoemaker and a garment factory, and so on. In Nikozi, the Jews owned small brick factories where they made alize, brick and tile. They had sawmills, mills. Jewish meths were known in Racha. The comparison of the way of life of the Georgian people and the ethnic groups living in Georgia, the observation of the differences and similarities of the elements of traditional cultures, assures us that the diversity in this field is our wealth.

Georgian Jews actively participated in the political and public life of Georgia, in particular, on May 26, 1918, an important political act of Georgian independence was signed by three Jews: M. Davarashvili, I. Eligulashvili and I. Goldman.

In 1918, the Georgian-language Jewish newspaper "Voice of a Jew" started publishing in Kutaisi, and in 1924. The Georgian-language Hebrew newspaper Makaveli was also published in Tbilisi. The Jewish Cultural-Educational Foundation has been operating in the capital since 1993, with the support of which the magazine "Step to the Torah" is published. From the same year, the newspaper "Menora" was published, which systematically provides readers with information about the ongoing processes in Israel, and tells Georgian Jews living outside Georgia about the daily life of Georgia.

In 1990, a “Jewish Agency for Israel” was opened in Georgia, which continues to participate in the construction of a Jewish state, It unites the Jews of the world with inseparable ties, strengthens their spiritual and material ties with the Israel of the XXI century, thus promoting a unique phenomenon – the 26th century brotherly coexistence of the Georgian and Jewish peoples.

References:

- Baazov D.** (1915). Samšoblo [newspaper “Samshoblo”. because of the letter of the rabbi of Kutaisi], №247, p. 4, Tbilisi.
- Gomarteli I.** (1916). “Teaṭri da cḡovreba”[Journal “Theater and Life”]. Georgian Israelis, №39, pp.4-5. Tbilisi.
- Newspaper “Sarbieli” (1991), Maccabi World Georgian Society, 17.05. Tbilisi.
- Xma ebraelisa [Newspaper “Voice of a Jew”]. (1918), №2, p. 16, Tbilisi.
- Davarashvili, Z., & Tsagareishvili, T.** (2009). “Etnosebi sakartveloši” “Ethnoses in Georgia”, Tbilisi.
- “Etnosebi sakartveloši” “Ethnos in Georgia” (2008). Library of the Public Defender of Georgia, prepared for publication by the Center for Tolerance under the Public Defender. Tbilisi.
- Chichinadze, Z.** (1904). Kartveli ebraelni [“Georgian Jews”]. Electron printing Gr. Diasamidze, Tbilisi.

„ღამისთევა ფინეგანისათვის“ მეთექვსე თავის
თარგმანის სირთულეები

CERTAIN DIFFICULTIES OF TRANSLATING CHAPTER VI
OF FINNEGANS WAKE

თამარ გელაშვილი

Tamar Gelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჯოისი, ღამისთევა ფინეგანისათვის,
თარგმანი, ქართული

Keywords: Joyce, Finnegans Wake, Translation, Georgian

ჯეიმზ ჯოისის „ღამისთევა ფინეგანისათვის“ „უთარგმნელ“ ნაწარმოებადაა მიჩნეული და ეს, თითქოს, ერთგვარ კლიშედაც კი იქცა. უმბერტო ეკომ იხუმრა კიდევ, რომ ეს ნაწარმოები უკვე თარგმნილია, თავისი მრავალენოვანობიდან გამომდინარე, და ამიტომ მისი თარგმნა „უაზრობაა“. მიუხედავად ამისა, მთარგმნელები მაინც არ უშინდებიან ამ რომანის თარგმნასთან დაკავშირებულ სირთულეებს და „ღამისთევა ფინეგანისათვის“ არა მხოლოდ ევროპულ ენებზე ითარგმნება, არამედ აზიური ქვეყნების (თურქეთი, ჩინეთი, იაპონია) დიდ დაინტერესებასაც იწვევს.

სტატიაში განხილულია ის პრობლემები, რომლებიც „ღამისთევა ფინეგანისათვის“ წიგნი I-ის მეექვსე თავის ქართულად თარგმნას შეეხება. თავი თორმეტი კითხვისა და პასუხისაგან შედგება, რომელშიც ჯეიმზ ჯოისი ეზოპეს ცნობილი იგავის – „მელიისა და ყურძნის“ საინტერესო გარდასახვის გარდა, ვხვდებით გასტრონომიული აჭანყებასაც, – „ბურუსისა“ და „კეისიუსის“ ბრძოლა იულიუს „ჩეიზარის“ წინააღმდეგ „მარგარინასათვის“.

რომანის ქართულად თარგმნის პროცესში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ენობრივ სირთულეს უკავია: პირველ ყოვლისა, ქართული ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება თავის მონათესავე მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებთან ერთად, შესაბამისად, რიგ შემთხვევებში საკმაოდ რთულია, ადეკვატურად გადმოიტანო ის სიტყვებით თამაში, რასაც ჯოისი ინდოევროპული ენების გამოყენებით აღწევს. ამას გარდა, ქართულში ნაცვალსახელებს (პირის, კუთხვნილების) სქესი არ გააჩნია, ჯოისისათვის კი სქესის განსაზღვრა არსებით საკითხს წამოადგენდა, რაც წინაღობებს ქმნის ნაწარმოების თარგმნისას. ამასთანავე, როცა ჯოისი სხვადასხვა ევროპული ენის გაერთიანებით ახალ სიტყვებს იგონებს, ამ სიტყვათა გადმოქართულების პროცესი ძნელია. მაგალითად სიტყვა „grandsumer“ (FW 152:21), რომელშიც „sumer“ თავის თავში შუმერსაც და ზაფხულსაც მოიცავს. ანუ ისეთი სიტყვის გამოგონება გინევს, რომელიც ქართველი მკითხველისათვის გასაგები იქნება.

სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ ჯეიმზ ჯოისმა რომანით „ღამისთევა ფინეგანისათვის“ მრავალშრიანი, ინტერტექსტუალური ნაწარმოები შექმნა, რომელშიც ყოველი პერსონაჟი ლიტერტურულ და მითოლოგიურ ტექსტში არსებულ გმირთა კრებით სახეს

წარმოადგენს, ხოლო ესა თუ ის მოვლენა ერთჯერი ხდომილება კი არ არის, არამედ ციკლურად განმეორებადი და, ამრიგად, მარადიული. მიუხედავად რომანის გარშემო არსებული არაერთი შენიშვნისა, ყოველივე კი თარგმნის პროცესს თავისებურად რთულსა და საინტერესოს ხდის.

ფრიც ზენი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს „ლამისთევა ფინეგანისათვის“ უთარგმნელობის საკითხს და მას „ერთგვარ ბეკეტისებრ სინდრომს უწოდებს: შეიძლება ხელი მოგეცაროს, მაგრამ უკეთესად!“ შესაბამისად, იმედს ვიტოვებ, რომ „ლამისთევა ფინეგანისათვის“ ქართული თარგმანი კიდევ ერთი მცდელობაა, შესაძლო „მარცხისა“, მაგრამ სხვა ენაში და სხვაგვარად.

ლიტერატურა:

- დე მანი, პ.** (1985). უოლტერ ბენტამენის მთარგმნელის ამოცანებზე. იელის ფრანგული კვლევები, N69.
- ბენტამენი, უ.** (2010). მთარგმნელის ამოცანები. ილუმინაცია. ნიუ იორკი: შოკენის წიგნები.
- ფორდჰემი, ფ.** (2007). ბევრი მხიარულება ლამისთევა ფინეგანისათვის. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი.
- ჯოისი, ჯ.** (2012). წიგნი: ლამისთევა ფინეგანისათვის, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი.
- ზენი, ფ.** (2010). ინტერვიუ, ირლანდიის ლიტერატურული დამატება, ტომი 34, II, მარტი.
- ზენი, ფ.** (2015). ტრანსმუტაციური გადახვევები, ჯეიმზ ჯოისის კვარტალური ჟურნალი, გაზაფხულის ნომერი.

The notion that *Finnegans Wake* is “untranslatable” has become something of a cliché in Joyce scholarship. Umberto Eco even claimed that *Finnegans Wake* is “pointless to translate” because, by virtue (or vice) of its multilingualism, it is already translated. Nevertheless, *Finnegans Wake* has been translated into numerous languages.

The paper deals with the difficulties of translating Chapter Six of Book I in *Finnegans Wake* into Georgian. The chapter consisting of twelve ques-

tions and answers, including James Joyce's peculiar and hilarious re-telling of Aesop's ancient fable of 'The Fox and the Grapes', as well as how Burrus and Caseous "sort-of-nineknived and chewly removed Cheesugh".

One of the core difficulties while translating *Finnegans Wake* is the language, as Georgian does not belong to the family of Indo-European languages, thus while Joyce is trying to make a pun using different languages or nations or traditions, which make perfect sense it is quite challenging in Georgian. For example, the word "grandsumer" (FW 152:21), where "sumer" can be understood as Sumerians as well as summer, whereas in Georgian Sumerian is "Shumeri" and summer "Zapkhuri", and therefore the translators task is to find an adequate translation – or namely to invent a new word that will fit in Georgian.

Another difficulty despite the numerous and extensive material and commentaries on *Finnegans Wake* doing commentaries is still rather hard work, because it is an attempt to show the Georgian readers, what is in the original and how it is being transformed in the translation.

As Fritz Senn wisely put it "FW is impossible to translate and therefore it has to be attempted. A sort of Beckett syndrome: Try to fail better!" Therefore, the Georgian translation of *Finnegans Wake* is an attempt to fail, but fail better in another language.

References:

- De Mann, P.** (1985). On Walter Benjamin's The Task of the Translator. *Yale French Studies*, No. 69.
- Benjamin, W.** (1968). *The Task of the Translator*. Illuminations. New York: Schocken Books.
- Fordham, F.** (2007). *Lots of Fun at Finnegans Wake*. Oxford University Press, Oxford: UK. Joyce, J. (2012). *Finnegans Wake*. Oxford University Press, Oxford: UK.
- Senn, F.** (2010). Transmutation in Disgress, *James Joyce Quarterly*, Summer.
- Senn, F.** (2015). Interview, *Irish Literary Supplement*, Volume 34, Number 2, 1 March.

შექსპირის სამი ტრაგედია ქართულად
(მანანა ანთაძის თარგმანი)
SHAKESPEARE'S THREE TRAGEDIES IN GEORGIAN
(TRANSLATED BY MANANA ANTADZE)

მანანა გელაშვილი
Manana Gelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შექსპირი, თარგმანი, ანთაძე, ტრაგედიები
Keywords: Shakespeare, translation, Antadze, tragedies

სტატიაში განხილულია შექსპირის სამი ტრაგედიის („მეფე ლირი“, „მაკბეთი“, „იულიუს კეისარი“, 2017) ქართული თარგმანები, რომლებიც შესრულებულია მანანა ანთაძის მიერ. შექსპირის ტექსტი იმდენად მრავალშრიანი და მრავალნიშნადია, რომ მისი თარგმნა ყოველთვის, იმავდროულად, ინტერპრეტირებასაც ნიშნავს. ასეა ამ შემთხვევაშიც. მანანა ანთაძის ინტერპრეტაცია საინტერესო მიგნებებით არის სავსე. ქართულად ამეტყველებული ედმუნდის მონოლოგი („მეფე ლირი“) და კუდიანების სცენა („მაკბეთი“) საუკეთესო ნიმუშია ამგვარი ინტერპრეტაციის და, ამასთანავე, მთელი ტექსტის გასაღებიც. ამ თარგმანებში კარგად ჩანს არა მხოლოდ მთარგმნელის ნიჭიერება და დიდი გამოცდილება (მანანა ანთაძე მრავალი ნაწარმოების მთარგმნელი და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატია), არამედ შექსპირის შემოქმედების ღრმა მეცნიერული ცოდნა და წვდომა, რომლის გარეშეც შექსპირის თარგმნა შეუძლებელია. შექსპირის სიღრმისეული ცოდნა მანანა ანთაძემ თავისი დიდი მასწავლებლის, ცნობილი შექსპიროლოგის, ნიკო ყიასაშვილისაგან მიიღო, რომელსაც ეს კრებული ეძღვნება.

ახალი თარგმანი დრომ და თეატრმა მოითხოვა. როგორც ცნობილმა ქართველოლოგმა და მთარგმნელმა, დონალდ რეიფილდმა, შენიშნა: „ყველა თაობას სჭირდება თავისი საკუთარი შექსპირი, მაგრამ აუცილებლად ახალ თარგმანში, იმიტომ რომ მთარგმნელს შექსპირი გადაჰყავს მხოლოდ სხვა ენიდან კი არა, არამედ სხვა ეპოქიდან.“ მართლაც, ახალი თარგმანი საჭიროა, არა იმიტომ, რომ ივანე მაჩაბლის, ვახტანგ ჭელიძის თარგმანები მოძველდა, არამედ იმიტომ, რომ ისეთი ტექსტები, როგორებიც შექსპირისაა, ყოველმა ახალმა თაობამ ახლად გაიაზროს. მანანა ანთაძის თარგმანი კი სწორედ ასეთი გააზრებაა, რომელიც შექსპირის თარგმნის მდიდარი ტრადიციიდან ამოიზარდა და იმ ნაკლოვანებებსა და უზუსტობებს ასცდა, რომლებიც წინა თარგმანებში გვხვდება.

სტატიაში შედარებულია თარგმანისა და დედნის ტექსტები და კონკრეტული ნიმუშებითაა ნაჩვენებია, როგორ გადაიჭრება ცალკეული სირთულეები და იქმნება შექსპირის ტექსტის მხატვრული ეკვივალენტი.

შედარებითმა კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ თარგმანი არა მხოლოდ სიზუსტით გამოიჩევა, არამედ, გვხიბლავს თავისი ბუნებრიობითაც: სულერთია ანტონიოსის ორატორული ხელოვნებით გამორჩეული მონოლოგი იქნება („იულიუს კეისარი“) თუ მეფე ლირის ტრაგიზმით აღსავსე სიტყვები, კუდიანების ბუნდოვანი წინასწარმეტყველებები („მაკბეთი“) თუ მასხარის კალამბურები („მეფე ლირი“) მთარგმნელმა ყველაფერს მოუძებნა ქართული შესატყვისი. ყველაფერს თავისი გასაღები მოარგო და პერსონაჟებისა და მთლიანი ტექსტის ახალი წაკითხვა შემოგვთავაზა.

ლიტერატურა:

შექსპირი, უ. (2017). ტრაგედიები. ტ. I, ინგლისურიდან თარგმნა მანანა ანთაძემ. თბილისი: კენტავრი.

Shakespeare, W., The Complete Works of William Shakespeare. <https://shakespeare.folger.edu/>

The article gives analysis of three tragedies by Shakespeare ('King Lear', 'Macbeth', 'Julius Caesar', 2017) translated into Georgian by Manana Antadze. Shakespeare's text is renowned for being highly suggestive and multilayered. Thus, any translation at the same time means giving an interpretation of the text. It is true to this translation as well. Manana Antadze's rendering of Shakespeare's text is full of interesting interpretations and readings of the well-known passages. An analysis of how Edmund's famous monologue from 'King Lear' and the witches' opening scene in 'Macbeth' are translated into Georgian shows that these passages can be considered as one of the best examples of how a translation of the text becomes an interpretation at the same time. These translations reveal that Manana Antadze is not only as a gifted and experienced translator (Antadze has translated a number of books and was awarded a prestigious Ivane Machabeli prize for her achievement), but also has a deep knowledge and understanding of Shakespeare's works, which she gained from her tutor, an internationally acclaimed Georgian Shakespeare scholar professor Nico Kiasashvili. It is to Nico Kiasashvili that this volume is dedicated.

Creation of new translations was demanded by the needs of theatres and at the same time by a necessity to produce a new translation in the new epoch. As famous Karvelologist and translator Donald Rayfield remarked, "Every generation needs its own Shakespeare and a new translation."

The paper gives a comparative study of the text of the original and that of the translation to explore how specific difficulties of the original are rendered into Georgian so as to create an artistic equivalent of the original text.

A comparison of the texts clearly showed that the translation is marked with both the fidelity to the text of the original and the beauty of expression in the target language. The translator manages to create an equivalent of different styles whether it is Mark Anthony's rhetorical speech ('Julius Caesar'), King Lear's dramatic monologues, the three witches' ambiguous predictions ('Macbeth'), or the jester's puns ('King Lear').

References:

Shakespeare, W. (2017). Tragediebi [Tragedies], translated from English to Georgian by Manana Antadze. Tbilisi: Kentavri.

Shakespeare, W., The Complete Works of William Shakespeare. <https://shakespeare.folger.edu/>

1872 წლის დებულებები ამიერკავკასიის
მუსლიმი სასულიერო წოდების მართვის
შესახებ

THE STATUTES OF 1872 ON THE GOVERNANCE OF THE
TRANSCAUCASIAN MUSLIM CLERGY

ნანი გელოვანი
Nani Gelovani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ამიერკავკასია, თბილისი, მუსლიმი
სასულიერო წოდება, მუფთი, შეიხ-ულ-ისლამი
Keywords: Transcaucasia, Tbilisi, Muslim Clergy, Mufti,
Sheikh-ul-Islam

1872 წლის 5 აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა დებულებები ამიერკავკასიაში ორი – შიიტთა და სუნიტთა სასულიერო მმართველობის შექმნის თაობაზე – „დებულება ამიერკავკასიის შიიტთა მუსლიმი სასულიერო წოდების მართვის შესახებ“ და „დებულება ამიერკავკასიის სუნიტთა მუსლიმი სასულიერო წოდების მართვის შესახებ“. ცალკე შიიტური სასულიერო მმართველობის ჩამოყალიბება განაპირობა რეგიონში მუსლიმი შიიტების დიდმა რაოდენობამ, განსაკუთრებით რეგიონის ისლამურ ანკლავში – ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. ამასთან, ცარისტული მთავრობა, რომელიც მოქმედებდა პრინციპით – „დაყავი და იბატონე“, მინსწრაფოდა, არ დაეშვა მუსლიმთა ერთიანობა რელიგიურ საკითხებში და კიდევ უფრო გაეღრმავებინა დაპირისპირება ისლამის სხვადასხვა მიმართულებებს შორის.

1872 წლის დებულებები ამიერკავკასიის შიიტთა და სუნიტთა მუსლიმი სასულიერო წოდების მართვის შესახებ პრაქტიკულად იდენტური იყო და შედგებოდა 7 თავისა და 115 მუხლისაგან. ამ დებულებებით განისაზღვრა მუსლიმი სასულიერო წოდების ნორმატიულ-სამართლებრივი სტატუსი, ვალდებულებები და უფლებები. 1873 წლის 2 იანვარს ოფიციალურად გაიხსნა ამიერკავკასიის შიიტთა და სუნიტთა სასულიერო მმართველობები, ცენტრებით თბილისში. მათი იურისდიქცია ვრცელდებოდა ბაქოს, ელისავეტპოლის, თბილისისა და ერევნის გუბერნიებზე. ამიერკავკასიის დანარჩენი ტერიტორია და ჩრდილოეთ კავკასია, რომელთაც არ ჰქონდათ საერთო რუსული სამოქალაქო მმართველობა, ამიერკავკასიის მუსლიმი სასულიერო წოდების მმართველობების იურისდიქციის გარეთ რჩებოდა. თუმცა, საარქივო დოკუმენტები ადასტურებს, რომ განსაკუთრებული ინსტრუქციების საფუძველზე ან კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის ნებართვით, ამიერკავკასიის სუნიტთა სასულიერო მმართველობას უფლება ჰქონდა, განეხილა საქმეები, შემოსული იმ რაიონებიდან, რომლებიც არ ექვემდებარებოდა მოცემულ მმართველობას. რელიგიურ თანამდებობაზე დასამტკიცებლად პრეტენდენტი უნდა ყოფილიყო რუსეთის ქვეშევრდომი და უნდა ჰქონოდა რელიგიური წოდების შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა (გამოცდის ჩაბარების წესი და პირობები განისაზღვრებოდა კავკასიის მე-

ფისნაცვლის ინსტრუქციებით). შემოღებული იყო ასაკობრივი შეზღუდვებიც. სასულიერო წოდებას ვერ იღებდნენ ბრალდებულები, რომლებიც იძებნებოდნენ, სასამართლოს მიერ სამსახურიდან დათხოვნილი პირები, არაფრისმქონე მევალეები, მეურვეობაში მყოფნი მფლანგველობისათვის. ასევე, მათ უნდა ჰქონოდათ მოწმობა, რომ არ ეკუთვნოდნენ მთავრობის მიერ „დაუშვებელ“ რაიმე საზოგადოებას ან მოძღვრებას. ცალკეული რელიგიური თანამდებობის დაკავებამდე აუცილებელი იყო ფიცის დადება მისი საიმპერატორო უმაღლესობისადმი ერთგულებაზე და საკუთარი ვალდებულებების ზუსტად შესრულებაზე (ფიცის ტექსტები უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი რუსულ ენაზე, თარგმანით აზერბაიჯანულ ენაზე). მუსლიმ სასულიერო წოდებას ყველა სადღესასწაულო დღე უნდა აღენიშნა მეჩეთებში ლოცვის აღვლენით, უფლისათვის უნდა ეთხოვა იმპერატორის ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, ასევე მისი მეუღლის, ტახტის მემკვიდრის და მთელი სამეფო ოჯახის, არსებული წესების შესაბამისად. დებულებამ ასევე ჩამოაყალიბა ამიერკავკასიაში მუსლიმთა რელიგიური ცხოვრების მმართველობის სამსაფეხურიანი სისტემა, ანუ „ერთიანი სახელისუფლო ვერტიკალი სოფლის მოლადან მუფთიმდე“. საარქივო მასალების საფუძველზე შევადგინეთ ამიერკავკასიის მუსლიმი სასულიერო წოდების მეთაურების (მუფთი და შეიხ-ულ-ისლამი) სრული სია (ბიოგრაფიებით).

ამიერკავკასიის მუსლიმთა რელიგიური საქმეების კარგად ორგანიზებულმა სტრუქტურამ უმნიშვნელო ცვლილებებით იარსება 1917 წლამდე.

ლიტერატურა:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ისტორიული არქივი - Gosudarstvennyi istoricheskii arkhiv Azerbayjanskoj Respubliki, fondy 290 (Zakavkazskoe shiitskoe dukhovnoe pravlenie) i 291 (Zakavkazskoe sunnitskoe dukhovnoe pravlenie) [Государственный исторический архив Азербайджанской Республики, Фонды 290 (Закавказское шиитское духовное правление) и 291 (Закавказское суннитское духовное правление)].

არაპოვი დ. (2001). Islam v Rosiiskoi Imperii (zakonadatel'nie akty, opisania, statistika), Moskva: "Akademkniga" [Арапов Д. Ю. Ислам в Российской империи (законодательные акты, описания, статистика), Москва: "Академ-книга"].

განიჩი, ა. (2013). Dukhovnye pravleniya Musulman Zakavkaziya v Rosiiskoi imperii (XIX – nachalo XX v.): dokumenty, Moskva: "Dom Marjani" [Ганич, А. А. Духовные правления мусульман Закавказья в Российской империи (XIX – начало XX в.): документы, Москва: Дом Марджани].

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1494, ანაწერი 1, ამიერკავკასიის შიიტთა სასულიერო მმართველობა.

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 13, ანაწერი 24, საქართველოს მეფისნაცვლის კანცელარია.

On April 5, 1872, Emperor Alexander II (1855-1881) approved the provision for the establishment of Sunni and Shi'a Religious Boards in Transcaucasia – the Statute on the Administration of the Transcaucasian Sunni Muslim Clergy and Statute on the Administration of the Transcaucasian Shi'a Muslim Clergy. The establishment of the Transcaucasian Shi'a Religious Board was due to a large number of Muslim Shi'as in the region, especially in the Islamic enclave of the region – North Azerbaijan. At the same time, the Tsarist government, which operated on the principle of "divide and rule," sought to prevent the unity of Muslims in religious matters and to deepen the confrontation between the various denominations of Islam.

The provisions concerning the governance of the Shi'a and Sunni Muslim clergy in the Caucasus were virtually identical and consisted of 7 chapters and 115 articles. The Statutes of 1872 on the governance of the Shi'a and Sunni clergy in the Caucasus determined the normative and legal status, obligations and rights of the Muslim clergy. On January 2, 1873, the Transcaucasian Shi'a and Sunni Religious Boards officially opened in Tbilisi. They were under the control of Ministry of Internal Affairs and directly attached to the Viceroyalty. Their jurisdiction covered Muslims in the Baku, Elisavetpol (Ganja), Tiflis (Tbilisi) and Erivan (Erevan) gubernias. All other Transcaucasian territories and the North Caucasus that were not included

in the universal Russian rule (military-communal administration) remained outside the jurisdiction of the Transcaucasian Muslim clergy. However, archival documents confirm that, on the basis of special instructions or with the permission of the Viceroy of the Caucasus, the Sunni Muslim clergy had the right to discuss the cases from areas not subject to the rule. According to the regulations, a candidate for a religious position had to be a Russian subject and had to have a certificate confirming the knowledge corresponding to a religious rank. Age restrictions were also introduced. Defendants wanted by the court, persons whose employment was terminated by the court and pauper debtors held under guardianship for embezzlement could not obtain the clerical rank. The applicants also had to have a certificate that they did not belong to any society or doctrine “inadmissible” by the government. Before a “cleric” could occupy any post he had to pledge “loyalty to His imperial Majesty and conscientious fulfillment of his obligations (texts of the oath had to be printed in Russian, equipped with a translation into Azerbaijani).” The Muslim clergy was to celebrate every holiday with prayers in the mosques, praying to the Lord for the health and longevity of the Emperor, as well as his wife, heir to the throne, and the entire royal family, according to existing rules. The regulations also established a three-tier system of governing the religious life of Muslims in the Caucasus, or “a unified government vertical from the village mullah to the Mufti.” Based on the archival materials, we have compiled a complete list (with biographies) of the Heads of the Muslim clergy of Transcaucasian Krai (Mufti and Sheikh-ul-Islam).

The well-organised structure of the Religious Boards of Transcaucasian Muslims existed with minor changes until 1917.

References:

- Arapov, D.** (2001). *Islam v Rosiiskoï imperii (zakonadatel'nie akty, opisaniya, statistika)* [Islam in the Russian Empire (Legislation, Descriptions, Statistics)], Moskva: “Akademkniga”.
- Ganich, A.** (2013). *Dukhovnye pravleniya Musulman Zakavkaziya v Rosiiskoï imperii (XIX – nachalo XX v.): dokumenty* [Religious Directorates of Transcaucasus Muslims in the Russian Empire (from the 19th to the Early 20th Centuries). Documents], Moskva: dom Mardzhani.

Gosudarstvennyi istoricheskiĭ arkhiv Azerbayjanskoĭ Respubliki, fondy 290 (Zakavkazskoe shiitskoe dukhovnoe pravlenie) i 291 (Zakavkazskoe sunnitskoe dukhovnoe pravlenie) [The State Historical Archives of the Republic of Azerbaijan, fonds 290 (The Transcaucasian Shi'a Muslim Board) and 291 (The Transcaucasian Sunni Muslim Board)].

Guniava, G. (2013). Islamskaia Obshchina Kavkaza po dokumentam Gruzinski-kh arkhivov 1800-1917 gg. [The Muslim Community of the Caucasus in the Georgian Archival Documents. Years 1800–1917: a Collection of Documents], Qum, Alul-Beit.

Sakartvelos erovnuli arkivi, pondi 1494, anaçeri 1 [National Archives of Georgia, fond 1494, series 1]. amierkavkasiis Shiitta sasuliero mmartveloba, The Transcaucasian Shiite Spiritual Board.

Sakartvelos erovnuli arkivi, pondi 13, anaçeri 24, sakartvelos mepisnacvlis kancelaria [National Archives of Georgia, fond 13, series 1, The Chancellory of the Viceroy of the Caucasus].

ივანე ჯავახიშვილის თეორიული
სტანი წმინდანთა „მარტვილობებისა“
და „ცხოვრებების“ შესახებ

IVANE JAVAKHISHVILI'S THEORETICAL STATEMENT
ABOUT THE "MARTYRDOMS" AND "LIVES"
OF THE SAINTS

ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა
Nana Gonjilashvili, Nestan Sulava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ივ. ჯავახიშვილი, „მარტვილობანი“,
„ცხოვრებანი“, სამოქალაქო საისტორიო თხზულება

Keywords: Iv. Javakhishvili, "Martirologion", "Lives", civil historical
works

ივ. ჯავახიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი ფუნდამენტური კვლევა-ძიების ყოვლისმომცველი არეალი, ჭვრეტა-განსჯის საოცარი ნიჭი და უნარი, მეცნიერული კეთილსინდისიერება, კულტურა და ღირსება ზოგადად ქართული კულტურის ფონზე გამორჩეული და განუმეორებელია. ყოველივე ამას ცხადყოფს მისი თითოეული სტატია თუ მონოგრაფია.

წინამდებარე ნაშრომიც ივ. ჯავახიშვილის ერთ კვლევას – „მარტვლობანი“ და „ცხოვრებანი“ – ეძღვნება, რომელშიც ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები პირველად განიხილება და ფასდება. უნდა აღინიშნოს, რომ მის ნაშრომში გამოტანილ დასკვნათა უმრავლესობა სამეცნიერო სივრცეში საყოველთაოდაა აღიარებული და დამკვიდრებული, ნაწილი – შევსებულ-გაღრმავებული და ახალი ინტერპრეტაციებით წარმოდგენილი.

ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ლიტერატურის, კერძოდ ჰაგიოგრაფიის, ივ. ჯავახიშვილისეული სახელდება; იგი ძველ ქართულ ლიტერატურას „საისტორიო მწერლობას“ უწოდებს და მას ამ თვალსაზრისით განიხილავს. მან, საზოგადოდ, ქრისტიანული მწერლობის კვლობაზე, პირველმა მოგვცა ქართული სასულიერო მწერლობის, ჰაგიოგრაფიის, კლასიფიკაცია, გამოყო მისი დარგები: „მარტვილობანი“ და „ცხოვრებანი“, გამოკვეთა მათი რიგითობა, თავდაპირველად – „მარტვილობანი“, შემდეგ – „ცხოვრებანი“. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ივ. ჯავახიშვილის შემდეგი მოსაზრებაც, რომ „სამოქალაქო და სამხედრო ისტორია“ დასაბამს სწორედ აქედან იღებს, რასაც, მისი თქმით, მოწმობს სიტყვა „ცხოვრება“, რომელიც სამოქალაქო საისტორიო თხზულების ზოგად სახელწოდებად გამოიყენება.

ივ. ჯავახიშვილი კიმენური ძეგლების გამეტაფრასების საკითხსაც შეეხო, თუმცა არ უხსენებია ტერმინები „კიმენი“ და „მეტაფრასი“. მან განმარტა თხზულებათა „განახლება“-„განვრცელების“, „ხელმეორედ დაწერისა და გადასწორების“ მიზეზები, რაც ძირითადად მართლმადიდებლობის წიაღში მიმდინარე ცვლილებების ძველთან (კერძოდ, დოგმატიკის ჩამოყალიბებისა და „საყოველთაო აღსარების“ გამოცხადების შემდგომ წინარე „საკვლესიო ყოფა-ცხოვრებასთან“) შეუთავსებლობის საფუძველზე ახსნა; თუმცა ზემო-

აღნიშნულის მიზეზად ასევე ასახელებს „განათლებული საეკლესიო მოთხოვნებისა და გემოვნების“ ზრდას, რასაც ძველი რედაქციები ვერ აკმაყოფილებდნენ. ამ თვალსაზრისით მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „ათსამეტ ასურელ მამათა ცხოვრებების“ ტექსტებზე, რომელთა განხილვისას მოცემულია მათი დათარიღების ცდაც. საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული, რის გამოკვეთასაც შევეცადეთ ჩვენს ნაშრომში.

ასევე, საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის შეხედულება, რომ „მარტვილობები“, „ბევრ“ შემთხვევაში ეკლესიაში („წლისთავის წირვაზე“) წასაკითხად და იქ მყოფი მლოცველებისათვის მოსასმენად ქადაგების სახით იყო დაწერილი. ეს თვალსაზრისი განმტკიცებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ მოხმობილი წყაროებით.

მეცნიერი უძველეს თხზულებებად მიიჩნევს შუშანიკისა და ევსტათი მცხეთელის „მარტვილობებს“, თუმცა, ითვალისწინებს ამ თხზულებათა შემცველი ხელნაწერების გვიანდელობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე გამოკვეთილია თანამედროვე ეტაპზე არსებული განსხვავებული მოსაზრებანი.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ძველი ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი ჰაგიოგრაფიის, შესწავლაში, იმ ეპოქის სააზროვნო სივრცისათვის მის შეხედულებებში თავჩენილი სიახლეები და მასში წამოჭრილი პრობლემათიკის შესახებ თანამედროვე ეტაპზე არსებული მონაცემები.

ლიტერატურა:

ჯავახიშვილი, ივ. (1977). ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, 8. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Iv. Javakhishvili's multifaceted work, his comprehensive area of fundamental research, his amazing talent and ability for contemplation, scientific good faith, culture and dignity in general are unique and unique against the background of Georgian culture. All this is evidenced by each of his articles or monographs.

The present work is also conducted by Iv. Javakhishvili's Dedicated to one of researches – “Martirologion” and “Lifes” – in which the most important issues of the old Georgian literature are discussed and evaluated for the first time. It should be noted that most of the conclusions presented in his work are universally recognized and established in the scientific space, some – supplemented – deepened and presented with new interpretations.

Attention is drawn to the Iv. Javakhishvili's name; He calls the old Georgian literature “historical writing” and considers it from this point of view. He, in general, following the Christian writing, was the first to give us a classification of Georgian theological writing, hagiography, he distinguished its fields: “ Martirologion” and “Life”, outlined their order, first – “ Martirologion”, then – “Life”. In the scientific literature was established Iv. Javakhishvili's next opinion that “civil and military history” originates from here, which, according to him, is evidenced by the word “life”, which is used as a general title of civil history works.

Iv. Javakhishvili also touched upon the issue of metaphysics of Kymen monuments, however, he did not mention the terms “Kimen” and “Metaphor”. He explained the reasons for the “renewal” of the works – “dissemination”, “rewriting and correction”, which are mainly related to the current changes in the orthodoxy (in particular, on the basis of the previous “ecclesiastical life” after the formation of dogma and the proclamation of “universal confession”). Explanation; However, he also cites an increase in “educated ecclesiastical requirements and tastes” as the reason for the above, which the old editions could not meet. In this regard, the scholar pays special attention to the texts of the “Lives of the Thirteen Assyrian Fathers”, which are discussed in an attempt to date them. There are various opinions expressed in the scientific literature on the issue, which we have tried to highlight in our paper.

Also noteworthy is Iv. Javakhishvili's view that “ Martirologion” was, in “many” cases, written in the form of a sermon to be read in the church (at

the “Anniversary Liturgy”) and to be heard by the worshipers there. This view is reinforced by Iv. According to the sources quoted by Javakhishvili.

The scholar considers the “Martirologion” of Shushanik and Evstati of Mtskheta to be ancient works, however, he considers the late manuscripts containing these works. Based on the historical-philological research, we have expressed different opinions on this issue at the modern stage.

Thus, in the present paper, Iv. Javakhishvili’s contribution to the study of old Georgian literature, especially hagiography, the innovations in his views for the thinking space of that epoch and the data on the problems raised in it at the present stage.

References:

Javakhishvili, Iv. (1977). Old Georgian Historical Writing, Essays, 8. bilisi: TSU Press.

დრო და მოდერნულობა

TIME AND MODERNITY

ნანა გულიაშვილი

Nana Guliashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მოდერნულობა, დრო, ხელოვნება,
ირაციონალიზმი, ნიჰილიზმი

Keywords: Modernity, Time, Art, Irrationalism, Nihilism.

მეცნიერულ ლიტერატურაშიც კი ხშირად ხდება აღრევა „მოდერნიზაციისა“ და „მოდერნულობის“ ცნებებს შორის. მოდერნიზაცია აღნიშნავს ევროპის ისტორიაში შუა საუკუნეების შემდგომ მიმდინარე სოციო-პოლიტიკურ ტრანსფორმაციებს, ხოლო მოდერნულობა გამოიყენება იმ კულტურული პროცესების აღსანიშნავად, რომლებიც მიმდინარეობდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ევროპაში.

მოდერნიზმი პირველი სახელოვნებო აქტივობა იყო, რომელმაც თანამედროვეობა გამოაცხადა ყოფიერების და არსებობის იმპერატივად. მოდერნიზმამდე არსებული და მოქმედი ესთეტიკა თავისი არსით აბსოლუტურზე იყო მიმართული, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ დროისა და სივრცის განზომილებები და ტენდეციები მიღმა რჩებოდა ან, სხაგვარად რომ ვთქვათ, ესთეტიკა დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესებს რეფლექსიის საგნად არ აქცევდა.

ამ დროს ჩნდება მოდერნიზმი, რომელიც ანგრევს ყოფის ამსახველ მტკიცე იერარქიებს, უარყოფს აბსოლუტის ესთეტიკას. ხელოვნებას კი დროსთან და სივრცესთან მიმართებით განიხილავს.

მოდერნულობა კულტურის ის ეტაპია, რომელიც შეეცადა, საკუთარი თავისათვის გარედან შეეხედა, თუმცა ასეთი ხედვისათვის აუცილებელი იყო ათვლის ნერტილის არსებობა, ამიტომაც მოდერნიზმმა საკუთარი თავი დროსთან მიმართებით განსაზღვრეს.

მოდერნიზმში „მე“ ქმნის სამყაროს თავისი სულის ირაციონალური, შეუცნობადი, ქაოსური საწყისიდან. მოდერნიზმის მიერ შექმნილი სამყარო საშინელებით, ტრაგიზმით სავსე სამყაროა, რომელშიც ადამიანები და საგნები ცივ და მშრალ კონსტრუქციებად არიან გადაქცეული.

XX საუკუნის მოდერნისტულმა ხელოვნებამ თავის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აქცია ადამიანის ახლებური გაგება. ეს არის დებულება პიროვნებაში ორი „მე“-ს არსებობისა და მათ შორის განხეთქილების შესახებ: ერთი „მე“ ბუნებისმიერი, ჭეშმარიტი „მე“-ა, ნამდვილი არსი ადამიანისა, მეორე „მე“ კი - სოციალური ფენომენია, ყალბია, არანამდვილი - „არა-მე“. ხელოვნება „მე-ს,, უნდა სწვდებოდეს და მხოლოდ მისგან იყოს პროეცირებული გარე სინამდვილებე.

XX საუკუნის ხელოვნება ნიჰილისტური სულის გამოვლენას წარმოადგენს, აღნიშნავს გერმანელი ფილოსოფოსი ჰანს ზედლ-მაირი თავის ნაშრომში „ცენტრის დაკარგვა“ ხელოვნების დეჰუმანიზაცია გამოისახა ადამიანზე უარის თქმით, როგორც გასეტი ამბობდა „...მოგუდული მსხვერპლის ჩვენებით...“

მოდერნისტული ხელოვნების თითქმის ყველა მიმართულებამ თავის ერთ-ერთ დანიშნულებად გონების წინააღმდეგ შეტევა მიიჩნია. ამიტომ, თუ შესაძლებელია, რომ ისეთ რთულ ფენომენს, როგორცაა XX საუკუნის ხელოვნების მოდერნისტული ნაკადი, მოეძებნოს ერთი ძირითადი ნიშანი, ასეთ ნიშნად, რომელიც მას მიუჩენს თავის განუმეორებელ ადგილს, უნდა დასახელდეს ინტელექტის გაუფასურება და ადამიანის სულის „ირაციონალური განზომილებების“ წამონევა.

ლიტერატურა:

გასეტი, ბ. თ. ი. (1992). ხელოვნების დეჰუმანიზაცია. თბილისი.

ზედლმაირი, ჰ. (1957). ხელოვნება კრიზისში: ცენტრის დაკარგვა (ბრაიან ბატერშაფის თარგმანი ინგლისურ ენაზე).

It is more or less specified in historiography that the Catholic episcopate which was established in 1329 existed until 1510. There are known 13 bishops of the episcopate and their years of governance one way or the other. They were the members of different orders and foreigners by their origin. In subsequent centuries, till 1736, we do not have any information on the existence of the Catholic episcopate of Tbilisi and nothing is known about its bishop. On the basis of the hitherto unknown sources (from Vatican Archive) is investigated that in the period of Kizilbash rule (1735-1744) in Eastern Georgia the tax and repressive policy enforced by Nadir Shah pressed hard with classes of people Catholic missionaries as well. In addition to this, Nadir Shah's anti Catholic policy, which created hardest conditions to Georgian Catholics. Under the circumstances it seems that on the basis of the request of all Catholics of Tbilisi in 1736 Patriarch of Antioch and the first Uniate of All the East Cyril IV (1724-1759) established Christophore Orbeliani as the bishop of Tbilisi of Catholics having a Georgian typicon.

In accordance with the above-mentioned sources, Christophore Orbeliani was a member of the Order of Saint Basil the Great and he, as an Orthodox Priest, converted to Catholicism in previous ages of 1725. This worthy confessor obtained a great honour and authority in ecclesiastical circles and parish of both confessions. Thanks to this, under the circumstances where Catholics had hard times in Tbilisi, on the basis of the request of

Georgian Catholics, Uniate Patriarch of Antioch established Christephore Orbeliani as a bishop of Catholics having a Georgian typicon that we should imply to be found acceptable for Holy Throne.

Thus, after 1510, it was the first occasion when we see the Catholic episcopate having a Georgian typicon and its bishop, by one's origin a Georgian Catholic, Christephore Orbeliani. The latter, in accord with the same sources, was appointed as one's vicar by the Patriarch Domenti IV of Georgia hindered in Constantinople in 1725-1739, and he performed the duty in 1737-1739 that was absolutely an unprecedented event. It is being established that at the time of the ordeal in the country, confessional differences were sent to the background and the intermediation of the pope of Rome before Nadir Shah to facilitate the condition became the factor of consolidation between the Orthodox Church of Georgia and the episcopate of the Catholic Church.

References:

Archivio della SCPF, fondo, "Georgia", 1708-1760. V.2 ff. 341r-342r.

ლიტერატურის ფუნქციისათვის: სოლიდარობა
და ომის ნარატივი ომისა და ანტიომის
ლიტერატურაში

FOR THE FUNCTION OF LITERATURE: SOLIDARITY
AND WAR NARRATIVE IN MILITARY AND ANTI-WAR
LITERATURE

ნინო პოპიაშვილი

Nino Popiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურის ფუნქციურობა, ომის
ლიტერატურა, ანტიომის ლიტერატურა

Keywords: functionality of literature, military literature, anti-war
literature

ლიტერატურა, როგორც ხელოვნების ესთეტიკური ფუნქციის მატარებელი დარგი, ერთი მხრივ, არის მყარი და უცვლელი, უნივერსალური ფენომენი, რომელიც თავის თავში მოიცავს „მხატვრულ წვდომას“, ხოლო, მეორე მხრივ, ლიტერატურა, როგორც პროცესების თანმდევი რეფლექსია, იცვლება იმდენად, რამდენადაც იცვლება საზოგადოება, ღირებულებები, შეხედულებები. შესაბამისად, ლიტერატურა ასახავს ცვილებებსაც და სიახლეებსაც. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური გახდა „ახალი ისტორიზმის“ ლიტერატურულ კვლევებში, რომლებშიც ლიტერატურული ტექსტის შექმნაში მონაწილეობს კულტურული სისტემა, რომელიც ქმნის ტექსტის ძირითად მოტივს, არსებით ტენდენციებს, მიმართულებასა და განვითარებას.

ომი, როგორც საგმირო საქმეთა ჰეროიკული აღწერა, ანტიკური ლიტერატურიდან იღებს სათავეს. ეს ტერმინი მოიცავს ომის თემაზე შექმნილ ტექსტებს, რომლებიც ომით არის ინსპირირებული, თუმცა ომის ლიტერატურა აღნიშნავს ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებშიც საომარი მოქმედებები არ აღიწერება, მაგრამ ომის გამოცდილებაა ნაჩვენები.

პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნილი ტერმინი, ომის ლიტერატურა, კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ანტიომის ლიტერატურა ომის ლიტერატურის შემდგომ და მის დისკურსში განვითარებული ტერმინია, სადაც წამყვანია სამოქალაქო ჰეროიზმი, სოლიდარობა, ომის ადამიანური მხარე, ტრაგიზმი. ანტიომის, იგივე ანტიმილიტარისტული ლიტერატურა გამოკვეთს ადამიანის უფლებებს, პირად და საზოგადო ტრაგედიებს, რომლებშიც გამარჯვებული არცერთი მხარე არ არის.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ლიტერატურის ფუნქციურ დატვირთვაზე ომისა და ანტიომის ლიტერატურაში. ყურადღებას გავამახვილებთ სოლიდარობისა და ომის გამოცდილების დისკურსებზე თანამედროვე ქართული ლიტერატურის მაგალითზე.

ლიტერატურა:

უელეკი, რ., და უორენი, ო. (2010). ლიტერატურის თეორია, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- კვაჭანტირაძე, მ.** (2011). ლიტერატურის ისტორია და „ახალი ისტორიზმი“, ჟურნალი „კრიტიკა“ #6, 3-22, თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
- პოპიაშვილი, ნ.** (2015). ომისა და ანტიომის ლიტერატურა (თანამედროვე ქართული და ოსური ლიტერატურის მაგალითზე), კრებულში: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები“, მასალები, 236-243 თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- პოპიაშვილი, ნ.** (2020). მშვიდობის ლიტერატურა: თეორიული ჩარჩო და ქართული კონტექსტი. კრებულში: მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები“, მასალები, 275-285, თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

On the one hand, literature, as a field that carries the aesthetic function of art, is sustained and unchanged, a universal phenomenon that includes “artistic access”, and on the other hand, literature, as a reflection accompanying processes, changes as much as the society, values, points of view change. Accordingly, the literature reflects both change and innovation. This approach has become particularly topical in the literary studies of the “New Historicism”, where a cultural system participates in the creation of a literary text, which creates the basic motive of the text, substantive trends, direction and development.

War, as a heroic description of heroic deeds, traces its roots back to ancient literature. The term includes military-themed texts inspired by war, although military literature also marks out such writings where military actions are not described but the experience of war is shown.

The term Military Literature, which appeared during the First World War, was further deepened and expanded during the Second World War. Anti-war literature is a term developed after military literature and in its discourse, where civil heroism, solidarity, the human side of war, tragedy have taken the lead. Anti-war, the same anti-military literature singles out human rights, personal and social tragedies, where neither side is the winner.

In the report, we will discuss the functional load of literature in military and anti-war literature. We will pay special attention to the discourses of solidarity and the experience of war on the example of contemporary Georgian literature.

References:

- Uelek, R. Uoren, O.** (2010). *Liṭeraṭuris teoria* [Theory of Literature]. Tbilisi: Ilia State University Press.
- Kvachantiradze, M.** (2011). *Liṭeraṭuris iṣṭoria da “aḡali iṣṭorizmi”* [History of Literature and “New Historism”]. “Kriṭika”, 6, 3-22, Tbilisi: Shota Rustaveli Institute Of Georgian Literature Press.
- Popiashvili, N.** (2015). *Omisa da anṭiomis liṭeraṭura (tanamedrove kartuli da osuri liṭeraṭuris magalitze)* [Literature of War and Anti-War (Based on the example of modern Georgian and Ossetian Literature)]. in: International Scientific Conference “Development of Georgian-Ossetian Relationship”. Tbilisi: TSU Press.
- Popiashvili, N.** (2020) *Mṣvidobis liṭeraṭura: teoriuli čarčo da Kartuli ḡoṅṭekṣṭi*, [Peace Literature: Theoretical Framework and the Georgian Context], in: VI International Scientific Conference “Development of Georgian-Ossetian Relationship”. Tbilisi: TSU Press.

გალაკტიონ ტაბიძის „ხვალემ იზრუნოს
ხვალისა“ (ინტერტექსტური რელაციები.
დათარიღების პრობლემა)

GALAKTION TABIDZE'S "TOMORROW SHOULD
LOOK AFTER ITSELF" (INTERTEXTUAL RELATIONS.
PROBLEM OF DATING)

ნათია სიხარულიძე

Natia Sikharulidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ქართული პოეზია,
გალაკტიონი

Keywords: Georgian literature, Georgian poetry, Galaktion Tabidze

„ხვალემ იბრუნოს ხვალისა“ გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი ცნობილი ნაწარმოებია. ამ ლექსის შთაგონების წყაროს შესახებ ორგვარი შეხედულება არსებობს: დამკვიდრებული თვალსაზრისით, „ხვალემ იბრუნოს ხვალისა“ ალექსანდრე ქავჭავაძის უსათაურო ნაწარმოებიდან – „ღიმილმან კარი ლალისა“ მიღებული შთაბეჭდილების შედეგად არის შექმნილი. განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, გალაკტიონისათვის შემოქმედებითი იმპულსის ფუნქცია მათეს სახარების სტრიქონებს უნდა შეესრულებინა.

ვფიქრობ, ორი პოეტის ნაწარმოებთა სალექსო საზომისა და რეფრენის იგივეობა ნამდვილად ქმნის საფუძველს, რომ „ღიმილმან კარი ლალისა“ გალაკტიონის ლექსის ძირითად ინტერტექსტად ჩაითვალოს. თუმცა, ფორმისეულ ელემენტთა იდენტურობის ფონზე აშკარად შეინიშნება ნაწარმოებებს შორის არსებული მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განსხვავებაც. შინაარსის მხრივ, „ხვალემ იბრუნოს ხვალისა“ აშკარად ეხმიანება წმინდა წერილს. სწორედ ამის გამო, გალაკტიონის ნაწარმოების შესახებ მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს არა მხოლოდ „ღიმილმან კარი ლალისა“, არამედ – სახარებისეული შეგონებაც. ორივე მათგანის გათვალისწინების გარეშე ამ ლექსის გაანალიზება, ჩემი აზრით, შეუძლებელია.

„ხვალემ იბრუნოს ხვალისას“ ინტერტექსტუალური რელაციებისაგან განსხვავებით, მისი დათარიღების პრობლემა არასოდეს გამხდარა მკვლევართა მსჯელობის საგანი. ნაწარმოები პირველად 1927 წელს დაიბეჭდა. მისი თარიღიანი ავტოგრაფი არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, იგი 1916 წელს შექმნილად ითვლება. ლექსის დაწერისა და პუბლიკაციის თარიღებს შორის არსებული ხანგრძლივი ინტერვალი ეჭვს აჩენს – გაურკვეველია, რატომ უნდა გამოექვეყნებინა პოეტს 1916 წელს შექმნილი ნაწარმოები მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ.

„ხვალემ იბრუნოს ხვალისას“ რამდენიმე, მკითხველისათვის ნაცნობი ტექსტისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული რედაქცია არსებობს. ავტოგრაფების შესწავლა ცხადყოფს, რომ ლექსის ყველა ვარიანტი 20-30-იან წლებს ან კიდევ უფრო გვიან პერიოდს მიეკუთვნება.

გალაკტიონის ნაწარმოების დათარიღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ხვალემ იბრუნოს ხვალისას“ ერთ ნაკ-

ლებად ცნობილ ვარიანტს. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში ინახება ალბომი, რომელშიც გალაკტიონის ლექსის ჩვენთვის საინტერესო რედაქცია იკითხება. ცეცილია კალანდაძისადმი მიძღვნილი ეს ექსპრომტი ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან პოეტს მისთვის კონკრეტული თარიღი – 1925 წლის 28 იანვარი მიუწერია. ექსპრომტი დანარჩენ ვარიანტებთან შედარებით მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ნაწარმოების ძირითად ტექსტთან. იგი, ისევე როგორც „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, სამი კატრენული სტროფისაგან შედგება და თითოეულ სტროფს უცვლელი რეფრენი ასრულებს. ამგვარი მსგავსება გვაძლევს უფლებას, ვივარაუდოთ, რომ როდესაც პოეტი ექსპრომტს წერდა, იმ დროისათვის „ხვალემ იზრუნოს ხვალისას“ მკითხველისათვის ნაცნობი რედაქცია ახალი შექმნილი ჰქონდა.

ალ. ჭავჭავაძის „ღიმილმან კარი ლალისა“ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ნაწარმოებთაგან, რომლებმაც მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოახდინეს გალაკტიონზე. ფრაზა „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ არაერთხელ გვხვდება პოეტის დღიურებში. ამ ჩანაწერების ერთი ნაწილი უთარიღოა, ხოლო დანარჩენი 30-40-იანი წლებით თარიღდება. ეს მიგვანიშნებს, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსის სტრიქონით გალაკტიონი ინტერესდება არა 10-იან წლებში, არამედ ბევრად უფრო გვიან.

გალაკტიონის ჩანაწერებისა და ლექსის რედაქციების თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ დაიწერა არა 1916 წელს, არამედ 20-იან წლებში, თუ უფრო დავაბუსტებთ – 1924 წლის ბოლოს ან 1925 წლის დასაწყისში.

ლიტერატურა:

ტაბიძე, გ. (1966). თხზულებანი თორმეტ ტომად ტომად, I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

დოიაშვილი, თ. (2013) მოტირალ-მოცინარი. თბილისი: სიტყვა.

ბებურიშვილი, ლ. (2018). სამშობლოს კონცეპტი გალაკტიონ ტაბიძის საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის ლირიკაში. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა და XX საუკუნის მწერლობა. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

This paper presents analysis of Galaktion Tabidze's known verse – „Tomorrow will look after itself“. There exists a twofold opinion on the source of inspiration of this work: according to the established viewpoint the verse „Tomorrow will look after itself“ was created under the impression obtained from Aleksandre Chavchavadze's untitled verse („...ghimilman kari lalisa“). According to the different view the lines from the Gospel of Matthew must have fulfilled the function of creative impulse to Galaktion.

To my mind the identity of the metre and refrain of both poets' works really create the ground to consider A. Chavchavadze's untitled verse to be the basic intertext of Galaktion's verse. However, against the background of identity of the formal elements the essential difference of a plot between these two poetic works is also clearly observed. From the viewpoint of the plot Galaktion's verse obviously resonates with the Holy Letter. It is due to this that while discussing „Tomorrow will look after itself“ we should bear in mind not only A. Chavchavadze's untitled verse but the message of the New Testament. Without taking into consideration both of them it is impossible to analyze this work.

Unlike intertextual relations of Galaktion's verse the problem of its dating has never become the object of dispute among scholars. The work was first published in 1927. Its autograph with indication of the date is not available. Despite this, it is considered to be written in 1916. Long interval between the writing of the verse and publication gives rise to doubt. It is not clear why the poet published the verse created in 1916 only eleven years later.

There exist several editions more or less different from the text of the „Tomorrow will look after itself“ that is known to readers. The study of the autograph testifies to the fact that each version of the verse belongs to the twenties-thirties or even later period.

For dating of Galaktion's work of particular importance is one version of less known „Tomorrow will look after itself“. At the Georgian State Museum of Theatre, Music, Cinema and Choreography there is kept an album in which interesting edition of Galaktion's verse is placed. This extemporization dedicated to Cecilia Kalandadze is of special attention because there is poet's inscription of a concrete date – 28 January, 1925. Compared with the rest versions this extemporization manifests more closeness with

the body text. Just like „Tomorrow will look after itself“ it consists of three quatrains and each line is fulfilled by unchanged refrain. Such similarity allows us to suppose that when the poet wrote extemporization, at that time the edition known to the readers of „Tomorrow will look after itself“ had already been created.

A.Chavchavadze’s untitled verse is one of the few literary works that made a great impact on Galaktion. The phrase „Tomorrow will look after itself“ is oftentimes found in his diaries. One part of these records has no date and the others are dated by thirties-forties. This fact indicates that through the line of A.Chavchavadze’s verse Galaktion got interested not in the 1910s but far later.

With account of the peculiarities of Galaktion’s records and verse editions we may suppose that „Tomorrow will look after itself“ was written not in 1916 but in the twenties, more precisely at the end of 1924 or beginning of 1925.

References:

- Tabidze, G.** (1966). *txzulebani tormet tomad* [Works in twelve volumes], I. Tbilisi: Sabçota Sakartvelo.
- Doiashvili, T.** (2013). *Motiral-motsinari* [Laughing crying]. Tbilisi: siçqva.
- Beburishvili, L.** (2018). *Samşoblos kconcepçti galaçtion çabizis sakartvelos damoukideblobis periodis liriçaşı*. [The Concept of Homeland in GalaktionTabidze’s Lyrics in the Period of Independence of Georgia]. *Contemporary Issues of Literary Criticism. Contemporary Issues of Literary Criticism The Idea of State Sovereignty and XX Century Literature*. Tbilisi: Tsu Press.

კითხვითი ნაწილაკი მაჭახლურში
THE INTERROGATIVE PARTICLE IN MACHAKHELIAN
DIALECT

მამია ფაღავა, მაია ბარამიძე

Mamia Paghava, Maia Baramidze

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Batumi Shota Rustaveli State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შავშური, მაჭახლური, კითხვითი ნაწილაკი
Keywords: Shavshian, Machakheli speech, Interrogative particle

მაჭახლური შავშური დიალექტის კილოკავია. მაჭახლური, უპირველესად, გავრცელებულია მაჭახელას ხეობაში გაშენებულ სოფლებში. ცნობილია, რომ მაჭახელი ორადაა გაყოფილი: ქვემო მაჭახელი საქართველოს საზღვრებშია (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, მაჭახლის თემი), ზემო მაჭახელი - თურქეთის რესპუბლიკის (ართვინის ილი, ბორჩხის ილჩე) შემადგენლობაში. მაჭახლური მეტყველების გავრცელების არეალი გაფართოვდა თურქეთის შიგა პროვინციებში გაშენებულ მაჭახლელ მუჰაჯირთა დასახლებების ხარჯზე.

მოხსენებაში შევეხებით მაჭახლურის ერთ თავისებურებას, კერძოდ, კითხვით ნაწილაკს მაჭახლურში.

აღვნიშნავთ, რომ XX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჩანერილი მასალების ჩვენებით (ჩაინერა პროფესორმა მერი ცინცაძემ) ქვემო მაჭახლური მკვეთრად განსხვავდება ზემო მაჭახლურისაგან ასევე მომიჯნავე აჭარული და კლარჯული კილოებისაგან **ე'** ნაწილაკის პოზიციებით. ქვემო მაჭახლურში იმდენად ხშირი და მრავალფეროვანია **ე'**ს გამოყენების შემთხვევები, რომ, მიუხედავად ცდისა, რაიმე კანონზომიერების დადგენა ქირს. მოვიყვანთ მაგალითებს:

ა) **ე'** ხშირად დასტურდება დიალოგებში კითხვის პასუხად, რომელიც ასევე კითხვის შემცველია:

- აგზე ფეხი წამოკრა და...

ვინე?

- წვევლ, ჭამიკარ'და ევდე!

რაფერე?

ბ) **ე'** გვხვდება კითხვით წინადადებებში და ერთვის როგორც ზმნას, ისე ზმნიზედას: იგიც აქ იყო, ბალანა რომ ავათ **ყავსე?** შენ მოხვალ **აქე?**

გ) **ე'** გვხვდება ასევე თხრობით წინადადებებში, ერთვის ზმნას, არსებით სახელს, ნაცვალსახელსა და ზმნიზედას: თვით ხმელი **ვარე**, გიმიხმობს თავ; **ჭამოსე**, შიერი არი... წრევლა ჩვენ **ბალანასე** უკბინა; ჩამოდ **აქე**...

ე'ს ხმარების თითო-ორიოლა შემთხვევა დავადასტურეთ ზემო მაქაბლელთა და მაქაბლელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც.

ვფიქრობდით, ე'ს გამოყენების შემთხვევები მეტი იქნებოდა მაქაბლელ მუჰაჯირთა მეტყველებაში, რო დაცულია მაქაბლურის საუკუნე-ნახევრის წინანდელი ვითარება. ბუნებრივად გვიჩნდება კითხვა: რატომაა ასეთი განსხვავება ე'ს გამოყენების თვალსაზრისით ზემო და ქვემო მაქაბლურს შორის? გასათვალისწინებელია, რომ ცოცხალ მეტყველებაში დასტურდება შემთხვევები, როცა კონკრეტული დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენა სისტემურად დაუცავს ერთი კონკრეტული ხეობის მეტყველებას; მაგალითად, რ'ს დაკარგვის შემთხვევებიც კმარა აჭარულში, რომელშიც აღნიშნული თანხმოვანი იკარგება მთელ დიალექტში, სისტემებრ - მერისის ხეობის (ქედა) მკვიდრთა მეტყველებაში.

ზემოთ მოყვანილი საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, რომ ე' ნანილაკი ა'ს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია, თუმცა ხშირად გარდაქმნის ფონეტიკური საფუძველი არ ჩანს.

მუჰაჯირთა მაქაბლურში დასტურდება კითხვითი ა' ნანილაკიც: აქ ვინმე არ ყოფილა, **გაგნებიეფა**, ბიჭო?

ზემო მაქაბლურსა და მაქაბლელ მუჰაჯირთა მეტყველებაში ჩანს თურქული კითხვითი მი' ნანილაკი: ერთი ინსანმა **მოკდა-მი**, **ჩეფფლა-მი**?

ვფიქრობთ, კითხვითი ნანილაკის გამოყენების საინტერესო სურათი დაიხატა მაქაბლურში.

ლიტერატურა:

ფალავა, მ., ცინცაძე, მ., ჩოხარაძე, მ., შიოშვილი, თ., ბარამიძე, მ., შაშიკაძე, ზ., მგელაძე, ნ. და ბარამიძე, რ. (2017). ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში, ნიგნი 1. მაქაბლელი მუჰაჯირები, ბათუმი: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ფალავა, მ. (2009). ნანილაკი ახალ ქართულში, თბილისი.

Machakhluri is a sub-dialect of the Shavsheti dialect. Machakhluri is primarily spread in the villages cultivated in Machakhela gorge. It is known that Machakheli is divided into two parts: Kvemo Machakheli is within the borders of Georgia (Khelvachauri Municipality, Machakheli Community), Zemo Machakheli – part of the Republic of Turkey (Artvin ili, Borchkhi ili). The area of Machakhli speech spread has expanded at the expense of Machakhli Muhajir settlements cultivated in the inner provinces of Turkey. In the report we will touch on one of the peculiarities of Machakhluri, namely, the reading particle in Machakhluri. We note that by displaying materials recorded in the fifties of the twentieth century (Recorded by Professor Meri Tsintsadze) Kvemo Machakhluri is drastically different from Zemo Machakhluri as well as adjacent Adjara and Klarjuli kilos in terms of *g* particle yield. Cases of using *g* are so frequent and diverse in Kvemo Machakhluri that, despite the attempts, it is difficult to establish any regularity. Here are some examples:

A) **e'** is often confirmed by the answer to a question in dialogues, which also contains the question:

- აგზე ფეხი წამოკრა და...

ვინე?

- წეველ, ჭამიკარ'და ევდე!

რაფერე?

B) **e'** is found in interrogative sentences and is attached to both the verb and the adverb:

იგიც აქ იყო, ბალანა რომ ავათ ყავსე? შენ მოხვალ აქე?

C) **e'** is also found in narrative sentences, attached to a verb, noun, pronoun and adverb:

თვით ხმელი ვარე, გიმიხმობს თავ; ჭამოსე, შიერი არი... წრეველა ჩვენ ბალანასე უკბინა; ჩამოდა აქე...

We have confirmed one or two instances of its use in the speech of the descendants of the Upper Machakhelis and Machakhel Muhajirs.

We thought that the use of *e* would be more in the speech of the Machakhli Muhajirs, where the previous situation of the Machakhli century and a half is preserved. The question naturally arises: why is there such a difference in terms of the use of *g*'s between the upper and lower Machakhlures?

It should be noted that there are cases in living speech when an event characteristic of a particular dialect systematically protects the speech of one particular valley; For example, there are enough cases of loss of *რ* in Adjara, where the mentioned consonant is lost in the whole dialect, in the speech of the inhabitants of the system – Merisi gorge (Keda). The illustration above shows that particle *E* is the result of the phonetic transformation of *ა*, although often the phonetic basis of the transformation is not seen.

Is confirmed in the Muhajireen Machakhluri question *ა* ‘particle as well: აქ ვინმე არ ყოფილა, გაგნებოდა, ბიჭო?

In the speech of Zemo Machakhluri and Machakheli Muhajirs, a part of the Turkish reading *მი* is seen: ერთი ინსანმა მოკდა-მი, ჩეფლა-მი?

We think an interesting picture of the use of the interrogative particle was painted in Machakhluri.

References:

Paghava, M., Tsintsadze, m., Chokharadze, M., Shioshvili, T., Baramidze, M., Shashikadze, Z., Mgeladze, N., & Baramidze R. (2017). The Descendants of Georgian Muhajirs in Turkey, I, Muhajirs from Machakheli, Batumi: Batumi Shota Rustaveli State University Press.

Paghava, M. (2009). Particle in New Georgian, Tbilisi.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა
დიდი შირაქის ველზე

NEW ARCHAEOLOGICAL FIND
IN THE GREAT SHIRAKI VALLEY

კონსტანტინე ფიცხელაური
Konstantine Pitskhelauri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: აღმოჩენა, არქეოლოგია, შირაქის ველი
Keywords: find, Archaeology, Shirakia Valley

სამხრეთი კავკასია გეოგრაფიულად მახლობელი აღმოსავლეთის განუყოფელი ნაწილია და მათი წარსულიც თანაბარწილად ერთობლიობაში უნდა განიხილებოდეს.

ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა აღმოსავლეთ საქართველოში მდინარე ალაზანსა და იორს შორის მდებარე ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, რომლებიც ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნის ბოლო ხანებით თარიღდება. ივრის ზეგნის ეს მონაკვეთი გეოგრაფიულად მთებით მკაცრად შემოსაზღვრული ნაყოფიერი ველებია, რომელთა საშუალო ნიშნული ზღვის დონიდან 600 მ აღწევს, ირგვლივ მდებარე მთების საშუალო სიმაღლე კი 800 მ ფარგლებშია. მისი მთელი ფართობი დაახლოებით 15 ჰექტარია. ზეგნის აქ მდებარე სამივე ველზე ამჟამად მკვეთრად ისახება მდინარეთა მშრალი კალაპოტები.

მრავალი მონაცემის მიხედვით, ძვ. წ. X-XI საუკუნეებში ივრის ზეგნის ეს მონაკვეთი, როგორც ჩანს, ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა.

გეოგრაფიულად ამ კარგად გამოკვეთილ ტერიტორიას ერთი მთავარი შემოსასვლელი აქვს დასავლეთის მხრიდან, რომელიც ხეობაზე გადის და „გრძელი კარის“ ტოპონიმით არის ცნობილი. მას ძვ. წ. X-IX სს მძლავრი ციხე იცავს დიდ ქვის ბლოკებზე ამოყვანილი ხუთი მეტრის სიგანის გალავნით და ოთხკუთხა მასიური კოშკებით გამაგრებული ქიშკრით.

ივრის ზეგნის ამ მკვეთრად შემოსაზღვრულ მონაკვეთში, ველების ირგვლივ მდებარე მთაგორებზე, წინა წლებში აღმოჩნდა 40-ზე მეტი კარგად დაგეგმარებული მცირე ორწილადი დასახლება – ციტადელით მთის თხემზე და ქვედა საცხოვრებელი უბნებით მთის ფერდობებზე, რომლებიც ცალ-ცალკე მძლავრი გალავნებითა და თავდაცვითი თხრილებითაა შემოსაზღვრული. ყველა ეს დასახლება ერთი კულტურის ფარგლებში ექცევა და დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. ცნობილია მათი სამაროვნებიც.

ამ დასახლებების ცენტრალურ ნაწილში, ველზე, 2014 წელს სატელიტური გადაღებების დეშიფრაციით და მცირე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა გრანდიოზული, როგორც ჩანს, ცენტრალური ქალაქის ნაშთები, რომლებიც დაახლოებით

50 ჰა ფართობს მოიცავს. აქედან 400X400 მეტრია ციტადელი, რომელსაც გარს უვლის რთული, წინააზიური ნაგებობების მსგავსი კონსტრუქციის 7 მ სიგანისა და სპეციალისტების გამოანგარიშებით, სულ მცირე, 15 მ სიმაღლისა და 1,5 კმ სიგრძის გალავანი. გათხრების შედეგად სამხრეთი გალავნის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა კარიბჭე. დაზვერვითმა სამუშაოებმა კი მიანიშნა ქალაქის წყლით მომარაგების საიდუმლო გვირაბისა და დიდი სამაროვნის არსებობაზე. ციტადელის ტერიტორიაზე ასევე მძლავრი გალავნით ორი დიდი ოთხკუთხი მონაკვეთია გამოყოფილი, რომლებიც, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდა. ციტადელს გარს უვლის 15 მ სიგანის თავდაცვითი თხრილი, მისი ჩრდილო ნაწილი კი მეორე განიერი გალავნით არის გარშემოვლებული.

რამდენიმე წლის წინ ამ ნაქალაქარის აღმოსავლეთით, მისი მომდევნო დროის მცირე დასახლებაზე, მოკირწყლული ქუჩის ქვეშ აღმოჩენილმა საკანალიზაციო ქსელმა მიანიშნა, რომ ამ პერიოდშიც აქ არსებული ჰიდროქსელი ჯერ კიდევ საკმაოდ წყალუხვი იყო.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ დასახლებათა სისტემის ერთ-ერთ სამლოცველოზე ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელი აღმოჩნდა, სამაროვნებზე კი, გათხრილ სამარხებში, ყველამამაკაცი მძლავრი ბრინჯაოს საბრძოლო იარაღით – მახვილით, სატევრით, შუბითა და ცულით იყო აღჭურვილი, რაც აქ მოსახლე საზოგადოების დიდ საბრძოლო პოტენციალზე მიანიშნებს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ივრის ზეგანზე, სამოსახლოებისგან მოშორებით არსებულ ძვ. წ. X-IX სს რელიგიური ცხოვრების ორ დიდ ცენტრში, კოლოსალური რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, რაც ამ მხარეს და მის კულტურას მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, პალეომეტალურგის თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს ანიჭებს.

ყოველივე ეს თითქოს ადასტურებს აქ მოსახლე საზოგადოების გაერთიანებას ერთ სოციალ-ეკონომიკურ და, დასაშვებია, პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც მცირე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ყველა ნიშანს ატარებს.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს ივრის ზეგნის დასავლეთ ნაწილში, დავით გარეჯის მთიანეთში, კონცენტრირებული ძვ. წ. X-IX სს დიდი დასახლებები რეგულარული გეგმარებით და მძლავრი თავდაცვითი

ნაგებობებით, რომლებიც შესაძლოა, აქაც მცირე სახელმწიფოებრივი სისტემის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

როგორც ცნობილია, მთელ მახლობელ აღმოსავლეთში ძვ. წ. XII-XI საუკუნეების ე. წ. „ბნელი პერიოდის“ შემდგომ, ძვ. წ. X-IX საუკუნეებში, მასობრივად ჩნდება მცირე სახელმწიფოები. ივრის ზეგანზე ამ აღმოჩენების შემდგომ დასაშვებია, ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაც ძველი აღმოსავლეთის ორგანულ ნაწილად მივიჩნიოთ, რადგან აქაც, როგორც ჩანს, მსგავსი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ, სპეციალისტთა დაკვირვებით, ივრის ზეგანზე 2014 წელს აღმოჩენილი დიდი ქალაქი ძვ. წ. IX საუკუნეში მძლავრი მიწისძვრის შედეგად არის განადგურებული, რაც აქ არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას განსაკუთრებით პერსპექტიულს ხდის.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ აღმოჩენების პროგრამული კვლევა სამხრეთ კავკასიის და შესაძლოა, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბითაც, წარსულის ფუნდამენტური პრობლემის ახლებური გააზრების საფუძვლად იქცეს.

The South Caucasus is geographically an integral part of the Middle East, and their past must be considered equally.

This was confirmed once again by archeological discoveries in eastern Georgia - the eastern part of the plateau between the rivers of Alazani and Iori, which dates back to the turn of the II and I millennia BC. This section of the Iori Plateau is a fertile field geographically strictly bordered by mountains, with an average elevation of 600 m above sea level and an average altitude of 800 m of the surrounding mountains. Its entire area is about 15 hectares. All three valleys of the plateau are currently marked by dry riverbeds.

According to many sources, in the 11-10th centuries BC, this section of the Iori plateau, apparently, was a single socio-economic and political unit.

Geographically, this well-defined area has one main entrance on the west side, which runs through the valley and is known by the placename of “Grdzeli (Long) Door”. It is protected by the mighty fortress of the 10th-9th centuries BC with a five-meter fence made of large stone blocks, and a gate reinforced with massive rectangular towers.

In this sharply defined section of the Iori plateau, on the hillsides surrounding the plains, more than 40 well-planned small, two-part settlements were discovered in earlier years – with citadels on mountain ranges and dwellings on lower mountain slopes with separate strong fences and defensive trenches. All these settlements are part of the same culture and date approximately to the end of the II and the beginning of the 1st millennium BC. The cemeteries of these settlements have also been found.

In 2014, in the central part of these settlements, in the field, the decipherment of satellite images and small archeological excavations revealed the grand remnants of the central city, which covers an area of about 50 hectares. From these, the citadel is 400x400 meters, surrounded by a complex, similar in structure to pre-Asian buildings, 7 m wide, at least 15 m high, and 1.5 km long. Excavations revealed a gate in the central part of the southern fence. Reconnaissance work indicated the presence of a secret tunnel for the city's water supply and a large cemetery. In the citadel area, two large rectangular areas are also separated by a large fence, which, apparently, required special protection. The citadel is surrounded by a 15 m wide defensive ditch, and its northern part is surrounded by a second wide fence.

A few years ago, in the east of this city, in a small settlement of a later time, a sewer network was discovered under a cobbled street, indicating that the hydro network was still full of water at that time.

It should be noted that a bronze model of a horse-drawn chariot was found in one of the chapels of this settlement system, and in the tombs excavated in the cemeteries, all the men were armed with powerful bronze weapons – swords, daggers, spears and axes. It is also noteworthy that on the Iori plateau, far from the settlements, in the two great centers of religious life of the 10-9th centuries BC colossal quantities of bronze and iron weapons and agricultural tools were found, which gave this area and its culture a prominent place in terms of paleometallurgy throughout the Middle East.

All this, as it were, confirms the unification of the society living here into a single socio-economic and, possibly, political system, bearing all the signs of a small state formation.

This assumption is confirmed by large settlements of the 10-9th centuries BC. concentrated in the western part of the Iori plateau, in the David Gareji mountains, with a regular layout and powerful defensive structures, which may also indicate the existence of a small state system here.

As is known, after the so-called “dark period” of the 12-11th centuries BC, small states arose en masse in the entire Middle East in the 10-9th centuries BC. After these discoveries on the Iori Plateau, the South Caucasus can be considered an organic part of the Old East during this period, since similar socio-economic and political processes apparently took place here.

It is noteworthy that, according to experts, a large city discovered on the Iori plateau in 2014 was destroyed by a strong earthquake in the 9th century BC, which makes archaeological work here especially promising.

A programmatic study of these discoveries in eastern Georgia will serve as the basis for a new understanding of the fundamental problem of the past in the South Caucasus and, possibly, in the entire Middle East.

**ძირითადი მოდერნული მახასიათებლების
პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები**

**POSTMODERN TRANSFORMATIONS OF THE KEY
MODERN FEATURES**

აკაკი ყულიჯანიშვილი

Akaki kulidjanishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კანონმდებელი გონება, ინტერპრეტატორული
გონება, ონტოლოგიური ნიჰილიზმი, იერარქია, ანარქია
Keywords: Legislative mind, Interpretive mind, Ontological nihilism,
Hierarchy, Anarchy

კულტურაში მიმდინარე პროცესებზე რეფლექსიისას თანამედროვე ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული პოზიციები. ერთნი ამბობენ, რომ კულტურა პოსტმოდერნულია, ხოლო მეორენი – მოდერნულობა არ დასრულებულა.

ჩვენი მოხსენების ინსპირაციის წყაროს წარმოადგენს იბნ ჰასანის ცნობილი სტატია პოსტმოდერნის კონცეფციისაკენ. ამ მრავალმხრივ საინტერესო სტატიას ახლავს ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია მოდერნული მახასიათებლების ტრანსფორმაცია პოსტმოდერნში. თუმცა ცხრილი ძალზე სქემატურია, ამიტომ ჩვენი მოხსენების მიზანია ამ სქემაში მოცემული მოდერნული მახასიათებლების პოსტმოდერნულად გარდაქმნის საფუძვლების მოძიება და განმარტება, თუ რამ განაპირობა ასეთი ტრანსფორმაცია.

ჩვენი აზრით, ჰასანის ამ სქემის განმარტებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ იმ ფუნდამენტურ მახასიათებლებზე, რომლებიც განაპირობებენ მოდერნის დასრულებას და რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ვაჩვენოთ სქემაში მოცემული ცნებების ტრანსფორმაციის საფუძვლები.

პოსტმოდერნის ძირითადი მახასიათებელია:

1. კანონმდებელი გონების ჩანაცვლება ინტერპრეტატორული გონებით.

2. ონტოლოგიური ნიჰილიზმი.

3. ჭეშმარიტების პროექტის დასასრული.

4. მეტაფიზიკის უარყოფა და მისი ჩანაცვლება ირონიით.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცხრილის ინტერპრეტაციისა და განმარტებისათვის ზემოთ მითითებულ მახასიათებლებთან ერთად უნდა იქნას გათვალისწინებული სინამდვილის იერარქიული წყობის ჩანაცვლება ანარქიული მოდელით.

სინამდვილის იერარქიული მოდელი შეიქმნა ჯერ კიდევ პლატონის ფილოსოფიაში, რაც გულისხმობდა სინამდვილის ისეთ სტრუქტურირებას, რომლის მიხედვითაც სინამდვილის მოვლენათა ესა თუ ის რიგი მაღლა დგას მოვლენათა სხვა რიგზე. პლატონის ფილოსოფიის ეს მოდელი გაზიარებული იქნა ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიერ. თუ პლატონის ფილოსოფიაში ნამდვილი არსებობა მიეწერებოდა იდეათა სამყაროს, ხოლო გრძნობადი სამყარო იდეათა სამყაროს აჩრდილს წარმოადგენდა და ამდენად ნაკლოვანი იყო და სინამდვილის იერარქიულ შკალაზე შესაბამისი ადგილი ეკავა, ქრისტიანული მსოფლმხედველობის

მიერ იდეათა სამყარო ჩანაცვლდა იმქვეყნიური სამყაროთი, ხოლო გრძნობადი სამყარო ამქვეყნიურის ცნებებით. იგივე პრინციპი შენარჩუნდა სციენტისტურ-პოზიტივისტური აზროვნების მიერაც. აქ მიზნუშედგობრივი კავშირის ცნებებმა ჩანაცვლეს ზემოთ ნახსენები ცნებები.

პირველი თვალსაზრისი, რომელიც დაუპირისპირდა სინამდვილის იერარქიულ მოდელს, იყო ნიცშეს ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც, არ არსებობს ბოლოვადი სიდიდეები, ყველაფერი განიცდის ცვალებადობას და მოძრაობას. ამდენად სინამდვილის იერარქიულ წყობაზე საუბარი იცვლება სინამდვილის ანარქიული მოდელით.

ზემოთ ჩამოთვლილი პოსტმოდერნის ძირითად მახასიათებლებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ჩვენ მიერ დასახელებული ცხრილის ოპოზიციების ანალიზი. ასე მაგალითად:

მიზანი - თამაში

ჩანაფიქრი - შანსი

ოსტატობა - ლოგოსი

გამოფიქულობა - დემილი

და სხვ. ასეთი წყვილი აღნიშნულ ცხრილში სულ ოცდახუთამდეა.

ლიტერატურა:

ჰასანი, ი. (2008). პოსტმოდერნიზმის კონცეფციისაკენ. არტიფაქტი. თბილისი.

There are different positions in modern philosophical literature when reflecting on current processes in culture. Some say, that culture is post-modern, others believe – modernity is not over.

The source of inspiration for our report is Ibn Hassan’s famous article on the concept of postmodernism. This multifaceted interesting article is accompanied by a spreadsheet, where the transformation of modern features into postmodern is shown. The table, however, is very schematic, is therefore the purpose of our report find and explain the basics of post-modern transformation of the modern features given in this scheme, if things led to such a transformation.

In our opinion, to explain this scheme of Hassan, we need to point out those fundamental features, which lead to the completion on modernity

and on the basis of which it will be possible to show the basics of transformation of the concepts given in the diagram.

key features of postmodernism are:

1. Replacing the legislative mind with the interpretive mind.
2. Ontological nihilism.
3. The end of the project of truth.
4. Denial of metaphysics and its replacement by irony.

We consider, that for the interpretation and explanation of the above table in addition to the above characteristics should be considered replacing the hierarchical set of reality with the anarchic model.

A hierarchical model of reality was created as far back as Plato's philosophy, which implied such a structuring of reality, according to which this or that series of events of reality stands above another series of events. This model of Plato's philosophy was shared according to the Christian worldview. If real existence in Plato's philosophy was attributed to the world of ideas, and the sensible world was the ghost of the world of ideas and was thus flawed and occupied a proper place on the hierarchical scale of reality, the world of ideas has been replaced by the underworld by the Christian worldview, and the tangible world by the notions of the world. The same principle was maintained according to Scientist-Positivist thinking. Here the concepts of causal connection have replaced the concepts mentioned above.

The first view that challenged the hierarchical model of reality, was Nietzsche's philosophy, according to which there are no finite quantities, everything experiences variability and movement. Thus the talk of a hierarchical order of reality is replaced by an anarchic model of reality.

Based on the basic characteristics of the postmodern listed above it is possible to analyze the table oppositions named by us. So for example:

The aim – The game

Intention – Chance

Mastery – Logos

Exhaustion – Silence

And so on. There are up to twenty-five such pairs in the table above.

References:

Hassan, I. (2008). *postmodernizmi konceptiisken. artipakti* [Towards the Concept of Postmodernism. Artifact (in Georgian language)]. Tbilisi.

**ბინარული ოპოზიცია ჩემი/სხვა
გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში
„სიკვდილი მთებში“**

**THE BINARY OPPOSITION MY/OTHER
IN GURAM RCHEULISHVILI'S STORY
“A DEATH IN THE MOUNTAINS”**

ნინო წერეთელი

Nino Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართველი მწერალი, გერმანელი მწერალი,
ოპოზიცია „ჩემი/სხვა“

Key words: Georgian writer, German writer, Opposition my/other

1957 წელს გერმანელი მწერალი, ალფრედ კურელა, ოჯახთან ერთად საქართველოში, ხევსურეთში, სამოგზაუროდ ჩამოვიდა. აქ დატრიალებული ტრაგედიის უშუალო მონმე ქართველი მწერალი, გურამ რჩეულიშვილი, გახდა. რეალური ისტორია დაედო საფუძვლად მის გახმაურებულ მოთხრობას „სიკვდილი მთებში“, რომელიც 1957 წელს, მოვლენების კვალდაკვალ, დაინერა, აღნიშნული მოთხრობა მწერლის სიცოცხლეში, 1958 წელს, ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა. მოთხრობის უცხოენოვანი გამოცემებიდან მნიშვნელოვანია გერმანული (მთარგმნელი ლუცია ქურდიანი) და ინგლისური (მთარგმნელი არჩილ ხანთაძე) თარგმანები.

მოგზაურობის მოყვარული და თავგადასავლების მაძიებელი ოჯახი (დედა, მამა, შვილი), საოცნებო ადგილას, მთებში, ხევსურეთში, დღეობებსა და ხატობებს ელოდება, მაგრამ ალფრედ კურელას მეუღლისთვის ცხენის ქენება საბედისწეროდ მთავრდება, ის აქ, ხევსურეთის ქაუხებში, ასრულებს სიცოცხლეს, სადაც გერმანელი მწერლისთვის ყველაფერი უცხოა – ხალხიცა და ბუნებაც. ამიტომაც თავსდატეხილი მოულოდნელი მწუხარება ჯერ კიდევ შეუცნობელია.

ქართველი მწერლისთვის უცხოა სიკვდილი მთებში, რადგან მთებთან სიახლოვე სიცოცხლის ძალის მომნიჭებელია და „უკვირს სიკვდილიც და სიცოცხლეს, რომლებიც სიკვდილთან ერთად აქ გაიცნო“. თუ სხვას აკვირვებს გერმანელი მწერლის მშვიდი და განონასწორებული საქციელი, ქართველ მწერალი გრძნობს კურელას მწუხარების სიმძიმეს და მოსწონს კიდევ გერმანელი მწერალი, რომელიც ყოველნაირად იკავებს თავს, რომ თავისი დარდით სხვა არ შეაწუხოს და როგორც რჩეულიშვილი წერს: „ითვალისწინებს დარდს პერსპექტივაში“.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის პერსონაჟებს სიკვდილის განცდააერთიანებთ. ორივე მწერალი – ქართველიცა და გერმანელიც, მხატვრული ტექსტის სივრცეში მთავარი გმირები არიან. მათი და მოთხრობის სხვა გმირების განცდებით შესაძლებელია, მოთხრობაში „ბინარული ოპოზიციის, „ჩემი/სხვა“, განვითარებაზე ვიმსჯელოთ.

ვფიქრობთ, აღნიშნული ოპოზიცია განსაკუთრებით საინტერესოდ გამოვლინდა მოთხრობის ხელნაწერში (ე.წ. შავ ვარიანტში), სადაც ყურადღება მივაქციეთ გმირის ვრცელ შიდა მონოლოგს, რომელიც მოთხრობის ტექსტში არ შესულა. საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია გურამ რჩეულიშვილის ალფრედ კურელასადმი მიწერილი პირადი წერილის გაანალიზებაც.

In 1957, the German writer Alfred Kurella came to visit Khevsureti, Georgia, with his family. Georgian writer Guram Rcheulishvili appeared a direct witness of the tragedy unfolding here. His sensational story, "A Death in the Mountains", that was based on real events was written shortly after the 1957 incident. "A Death in the Mountains" was published in literary magazine "Tsiskari" in 1958, during the writer's lifetime.

Keen travelers and adventurers – the family (mother, father and son), found themselves in an amazing spot, in the highlands of Khevsureti, looking forward to seeing the celebrations of Saint's days and attending rituals. However, an unexpected accident during horse racing turned out to be tragic for Alfred Kurella's wife and her life came to an end on the rocks of Khevsureti.

Death in the mountains is alien to the Georgian writer, because closeness to the mountains is a vital force and "he is surprised both by death and life, which he encountered there." If others are surprised by the calm and balanced behavior of the German writer, the Georgian writer feels the weight of Kurella's grief and even sympathizes with the German writer, who restrains himself in every possible way so as not to disturb others with his grief. As Rcheulishvili puts it: "keeps grief in perspective."

The experience of death unites the characters. Both Georgian and German writer, are the main characters in the space of a literary text. With their experiences with other characters of the story, we can talk about the development of the binary opposition "my/ other" in this story.

We consider that the mentioned opposition is particularly interesting in the handwritten copy of the story (so-called rough version), where we paid attention to the extended internal monologue of the protagonist, which was not included in the story. On this issue, it is also important to analyze Guram Rcheulishvili's personal letter to Alfred Kurella.

კათოლიკური რესტავრაცია და თანამედროვე
ეკლესიის მმართველობის სისტემის შექმნა.
სიქსტუს V

CATHOLIC RESTORATION AND THE MODERN CHURCH
CREATING A GOVERNANCE SYSTEM. SIXTUS V

ია (ლეილა) ხუბაშვილი
Ia (Leila) Khubashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სიქსტუს V, ეკლესია, კათოლიკური,
რესტავრაცია, ენციკლიკა, მმართველობა, სისტემა,
დიპლომატია

Keywords: Sixtus V, Church, Catholic, Restoration, Encyclical,
Governance, System, Diplomacy

ვატიკანის უდიდეს პოლიტიკურ და დიპლომატურ მნიშვნელობას მთელი მისი ორიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში განსაზღვრავდა საეკლესიო აპარატი, რომელსაც ის კათოლიკური სამყაროს მართვისათვის იყენებდა, ამიტომ სწორედ რელიგიური აპარატის უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ კათოლიკური ეკლესიის იერარქიულ-ადმინისტრაციული სისტემა.

რომის კათოლიკური ეკლესიის აღმასრულებელი ხელისუფლება ძირითადად თავმოყრილია სამ ელემენტში: სტატს მდივანი, კარდინალთა კოლეგია და კონგრეგაცია. ყველა მათანი უსიტყვოდ ემორჩილება პაპს და დამოკიდებულია მის უსაზღვრო ძალაუფლებაზე. კათოლიკური ეკლესიის საორგანიზაციო სტრუქტურაში კარდინალთა ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კათოლიკური ეკლესიის საქმიანობა მრავალმხრივია და სხვადასხვა სფეროს მოიცავს, ამიტომაც, როგორც ყველა სახელმწიფო ადმინისტრაციულ აპარატში, ვატიკანშიც შესაბამისად არსებობს სხვადასხვა სამინისტრო, რომლებსაც იქ კონგრეგაციებს უწოდებენ. ყოველი კონგრეგაციის სათავეში დგას პაპის მიერ დანიშნული კარდინალი, პრეფექტი (მინისტრი). ცალკეულ შემთხვევაში პაპი თვითონ ასრულებს პრეფექტის როლს. რომის კონგრეგაციები XVI საუკუნეში შეიქმნა და დაკავშირებულია სიქსტუს V-ის სახელთან, რომელიც ითვლება ვატიკანის კარდინალური კურიის შემქმნელად.

XVI საუკუნე მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპოქაა, რომელიც სავსეა პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმებით. გერმანიაში დაწყებულ მარეფორმაციამ ევროპის რუკა შეცვალა და საფრთხე შეუქმნა კათოლიკურ ეკლესიას. პაპობამ მას კონტრრეფორმაციით უპასუხა, რასაც სისხლის მდინარეები მოჰყვა. ტრიდენტის მსოფლიო საეკლესიო კრების (1545-1563) დადგენილებებმა კიდევ უფრო გაამკაცრა პროტესტანტების დევნა და განამტკიცა კონტრრეფორმაცია. ერთადერთი დათმობა კათოლიკური ეკლესიის მხრიდან ინდულგენციების გაუქმება იყო. კონტრრეფორმაციის მთავარი ბურჯი იესოს საზოგადოება იყო, რომელმაც ავსტრიელ და ესპანელ ჰაბსბურგებთან ერთად საეკლესიო კონსერვატული რეფორმა გარდაქმნა მებრძოლ და აგრესიულ კონტრრეფორმაციად, რომლის მთავარ ბასტიონებად

გადაიქცნენ ვენისა და პრადის უნივერსიტეტები, სადაც ამზადებდნენ კონტრრეფორმაციულ ელიტას, რომელმაც მოგვიანებით დაიწყო პროტესტანტი მეფე-მთავრების დაბრუნება კათოლიკობაზე. შედეგად, ბევრი ქვეყანა (პოლონეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, იტალია) კვლავ დაუბრუნდა კათოლიკობის წიაღს. გერმანია ორ ნაწილად გაიყო: ჩრდილოეთ გერმანია პროტესტანტული დარჩა, სამხრეთმა კი კათოლიკობა დაიბრუნა. კათოლიკურმა რესტავრაციამ თავის აპოგეას მიაღწია ფელიჩე პერეტი დი მონტალტოს დროს, რომელიც ტახტზე ავიდა სიქსტუს V-ის სახელით (1585-1590). მან აქტიურად შეუწყო ხელი კონტრრეფორმაციას; ეკლესიიდან განკვეთა ანრი ბურბონი (1585. მოგვიანებით ანრი IV) და ელიზაბეტ I ტიუდორი (1587).

პაპის მიერ გატარებულმა საეკლესიო რეფორმამ და სპეციალიზებული კონგრეგაციის სტრუქტურის შემოღებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა რომის ეკლესიის ცენტრალიზმი და პაპის აბსოლუტიზმი. 1588 წლის 22 იანვრის ბულით „Immense Aeterni Dei“ 15 კონგრეგაცია შეიქმნა. მათგან 10 შედიოდა საეკლესიო მმართველობის ერთიან სისტემაში 5 პაპის სახელმწიფო მმართველობის ორგანოში. ეს სისტემა არსებითად პირველად 1870 წელს შეიცვალა, პაპის სახელმწიფოს ლიკვიდაციის დროს. შემდეგ კი პიუს X-ის (1903-1914) მიერ განხორციელებული რეფორმის შედეგად.

1588 წელს სიქსტუს V-მ შექმნა უნივერსიტეტების, სემინარიებისა და კვლევების კონგრეგაცია. ის მიზნად ისახავდა განათლების ზედამხედველობას ჯერ პაპის ოლქში, შემდეგ კი მისი კონტროლის გავრცელებას კათოლიკურ უნივერსიტეტებზე ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. ამჟამად ის აკონტროლებს ყველა უმაღლეს სასწავლებელს, რომლებსაც კათოლიკები ხელმძღვანელობენ. საეკლესიო კრებების კონგრეგაცია, რომელიც ტრიდენტის კრების შემდეგ შეიქმნა, ასევე რეორგანიზებულ იქნა.

1588 წელს პაპმა დაარსა კონსისტორიუმის კონგრეგაცია, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა და დაკავებული იყო წმინდა ინკვიზიციის საქმეებით. პიუს V-ის მიერ დაარსებულ აკრძალულ წიგნთა ინდექსის კონგრეგაციას, სიქსტუსმა დიქტატორული უფლებამოსილება მიანიჭა. სიქსტუს V-მ დაარსა წმინდა რიტუალების

კონგრეგაცია, რომელიც დაკავებული იყო წმინდანებად შერაცხვისა და კანონიზაციის საკითხებით.

სიქსტუსმა პირველმა განსაზღვრა კარდინალთა უფლება-მოსილება ცენტრალიზმის პრინციპის შესაბამისად. 1586 წლის 3 დეკემბრის ბულით „Pastquam Verus Ille“ მან კარდინალთა რიცხვი 70-ით განსაზღვრა. ეს რიცხვი 1958 წელს იქნა პირველად გადაჭარბებული იოანე XXIII-ის მიერ. შეიცვალა ნეპოტიზმის ფორმებიც. ნეპოტიზმი მთელ ოჯახზე აღარ ვრცელდებოდა. პაპი ირჩევდა ორ ყველაზე ნიჭიერს და ამზადებდა მათ კარდინალებად. ერთ-ერთ მათგანს აკისრებდა სტატუს-მდივნის ფუნქციას. მეორე ნათესავს კი საეკლესიო სახელმწიფოს სამეურნეო მმართველობის ფუნქციას. სიქსტუს V-მ მნიშვნელოვნად გააძლიერა ნუნციუსების ინსტიტუტი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვატიკანის საგარეო პოლიტიკაში. რეფორმა შეეხო საფინანსო მმართველობასაც, რამაც პაპის ხაზინის შევსება განაპირობა. დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას, აბრეშუმის მოყვანას, ვაჭრობის გაფართოებას.

სიქსტუს V-ის პონტიფიკატი გამოირჩეოდა რომში დანაშაულის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით, გადასახადების რეგულირებით, საბანკო დაწესებულებებისა და მანუფაქტურების დაარსებით. იგი მფარველობდა კულტურასა და ხელოვნებას, რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. რენესანსისგან თითქმის აღარაფერი დარჩა. კათოლიკური რესტავრაციისა და კონტრრეფორმაციის ადეკვატურ მიმართულებად ხელოვნებაში ბაროკო იქცა. პაპის აბსოლუტიზმმა ხელოვნება მთლიანად ჩააყენა თავის სამსახურში; რენესანსის პერიოდში თუ ხელოვნება ბატონობდა პაპებზე, ახლა პირიქით მოხდა. ხელოვნება, რომელიც რენესანსის პერიოდში ყველაზე მეტად დაშორდა ეკლესიას, ახლა ყველაზე მეტად მიუახლოვდა მას.

პაპი უშუალოდ მონაწილეობდა საეკლესიო მამების თხზულებების ბერძნულიდან თარგმანებში, მას ეკუთვნის თხზულება წმ. ამბროსი მილანელზე. სიქსტუს V-ის დროს გრანდიოზული მშენებლობა დაიწყო რომში მისი ფავორიტი არქიტექტორის, დომენიკო ფონტანას, აქტიური მონაწილეობით: მარადიული ქალაქი ახალი შენობებით გალამაზდა, მოწესრიგდა ქუჩები და მოედნები,

კვირინალზე აშენდა ოთხი შადრევანი. მთავარი ტაძრების წინ პაპმა ბრძანა ობელისკების დადგმა, რომლებიც ეგვიპტიდან ანტიკური რომის ეპოქაში ჩამოიტანეს და იმპერიული სასახლეების ნანგრევებში იყვნენ მიტოვებული.

1586 წელს, პაპის ბრძანებით, ნერონის ცირკიდან გამოიტანეს და წმინდა პეტრეს მოედნის ცენტრში დადგეს წარმართული ეგვიპტური ობელისკი, რომელზეც სიქსტუსმა ამოაკვეთინა შემდეგი სიტყვები: *Christus Vivit, Christus Regnat, Christus Imperat. Vincit Licio De Tribu Juda* (ქრისტე ცოცხლობს, ქრისტე მართავს, ქრისტე მბრძანებლობს. გაიმარჯვა ლომმა იუდეის ტომიდან). დასრულდა წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათის მშენებლობა; აშენდა ვატიკანის ბიბლიოთეკისა და სტამბის შენობა; აღდგენილ და რესტავრირებულ იქნა ტრაიანესა და ანტონიუს პიუსის თალები; გაკეთდა ახალი წყალგაყვანილობა – *Aqua Felice*. სიქსტუს V პირადად მფარველობდა გენიალურ იტალიელ პოეტ ტორკვატო ტასოს (1544-1595), რომელმაც სახელი გაითქვა პოემა „განთავისუფლებული იერუსალიმით“. პაპმა ის დაფნის გვირგვინით დააჯილდოვა (პეტრარკას შემდეგ ასეთი პატივი აღარავის ღირსებია). სიქსტუსის საფლავი მდებარეობს სანტა მარია მაჯორეს საკათედრო ტაძარში, სიქსტის კაპელაში, რომელიც მისი ბრძანებით ააშენა დომენიკო ფონტანამ. კაპელას ამშვენებს გუმბათი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მდიდრული დეკორით. პაპის საფლავის ქანდაკება მორთულია ბარელიეფებით. მუხლმოყრილი სიქსტუსის ქანდაკება შეასრულა სკულპტორმა ჯოვანი პარაკამ, რომელიც ვალსოლდოს სახელით იყო ცნობილი.

ლიტერატურა:

ალდო, მ. ვ. – Aldo, M. V. (2012). *Piccolo mondo vaticano. La vita quotidiana nella città del papa*, Roma-Bari, Laterza.

გერგეი, ე. – Gergei, E. (1999). *Istoriya papstvo* [Гергей Е. История папства]. Moscow: Respublika.

ვატიკანის ისტორია – *Istoriya vatikana. Vlast' I Rinskaya kuriya*. (2002). [История Ватикана. Власть и Римская курия]. Moscow: Political Literature Publishing House.

ლოზინსკი, ს. (1986). *Istoriya Papstvo* [“History of the Papacy”]. Moscow: Political Literature Publishing House.

- მარჩანტი, პ.** – Marchant, P. (2007) Come diventare papa, Casale Monferrato, Edizioni Piemme.
- რანკე, ლ.** (1842). Rimckie papi. Ix cerkov i gosudarstvo XVI-XVII stoletiax. I [Римские папы. Их церковь и государство XVI-XVII столетиях], სანკტ-პეტერბურგი.
- რეუმონტი, ა.** – Reumont, A. (1857). Diplomazia italiana del secolo al XVI-XVIII. t.I. Firenze.
- BARBERA DI ALFREDO REUMONT in 8°.
- რომეო, ე.** – Romeo, E. (2008). Come funziona il Vaticano. Tutto quello che vorreste sapere, Milano, Ancora.
- როსი, ფ.** – Rossi, F. (2004). Der Vatikan. Politik und Organization. Munchen. Verlag: Beck.
- ხუბაშვილი, ი.** (2016). რომის პონტიფიკატები და მათი ეპოქა, 1. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

The ecclesiastical apparatus that the Vatican has used to govern the Catholic world has determined the Vatican’s great political and diplomatic importance throughout its two-year history, so we must consider the Catholic Church’s hierarchical-administrative system in light of the religious apparatus’s great importance.

The Secretary of State, the College of Cardinals, and the Congregation are the three primary components of the Roman Catholic Church’s executive branch. They all silently obey the Pope and rely on his boundless power. Cardinals have a crucial role in the Catholic Church’s organizational structure. The Catholic Church’s operations are diverse and encompass a wide range of topics. The Vatican, like all public administrations, has a number of separate ministries known as Congregations. Each congregation is governed by a cardinal, prefect (minister) appointed by the Pope. In some cases, the pope serves as prefect himself. The Roman Congregations were founded in the 16th century and are associated with the name of Sixtus V, who is considered to be the founder of the Vatican Cardinal Curia.

The 16th century was a pivotal period in world history, marked by political, religious, economic, and social upheavals. The Reformation that began in Germany reshaped Europe and posed a threat to the Catholic

Church. Popes reacted with a counter-reformation, which was followed by bloodshed. The Resolutions of the World Ecclesiastical Council of Trident (1545-1563) enhanced the Counter-Reformation by intensifying the persecution of Protestants. The only concession was the abolition of indulgences by the Catholic Church. The Catholic Church's lone concession was the removal of indulgences. The Society of Jesus, together with the Austrian and Spanish Habsburgs, transformed ecclesiastical conservative reform into militant and violent counter-reform, with its primary strongholds being the Universities of Vienna and Prague. as its main strongholds. They taught a counter-Reformation elite there, who eventually began the conversion of Protestant monarchs and princes. As a result, a number of countries (Poland, Spain, Portugal, the Czech Republic, and Italy) have reverted to Catholicism. Germany was split in two: northern Germany remained Protestant, while southern Germany reverted to Catholicism. During the reign of Felice Peretti di Montalto, who rose to the throne as Sixtus V, the Catholic Restoration achieved its pinnacle (1585-1590). He actively promoted the Counter-Reformation; he excommunicated Henry Bourbon (1585. later Henry IV) and Elizabeth I Tudor (1587).

The Pope's ecclesiastical reforms, which included the creation of a specialized Congregational structure, bolstered the Church of Rome's centralism and the Pope's absolute power. „ The Immense Aeterni Dei” was founded on January 22, 1588, with 15 congregations. Ten of them were included in the five-pope governing body's unified system of ecclesiastical government. During the liquidation of the Pope's state in 1870, this structure underwent significant changes for the first time. And then as a result of the reform carried out by Pope Pius X (1903-1914).

Sixtus V founded a congregation of universities, seminaries, and research institutes in 1588. The purpose was to supervise education in the Popes region first and then to extend its control to Catholic universities in Austria, France, Italy and other nations. During this time, he is in charge of all Catholic-run higher education institutions. The ecclesiastical congregations founded following the Trident congregation were likewise restructured.

In 1588, the Pope established the Congregation of the Consistory, which he led and was involved in the Holy Inquisition's operations. Sixtus

V granted a dictatorial mandate to the Congregation for the Prohibition of Books, founded by Pius V. Sixtus V founded the Sacred Congregation for Rites which dealt canonization of saints.

Sixtus was the first to define the cardinals' powers in terms of the idea of centralism. On December 3, 1586, he issued the Bull of „Pastquam Verus Ille”, which set the number of cardinals at 70. John XXIII was the first person to surpass this figure in 1958. Nepotism has taken on other forms as well. The term “nepotism” no longer applied to the entire family. The Pope chose the two most gifted individuals and groomed them to become cardinals. One of them was the Secretary-General. The second relative is in charge of the ecclesiastical state's economic affairs. Sixtus V significantly bolstered the Nuncio, a key figure in the Vatican's foreign policy. Financial governance was also affected by the reform, resulting in the Pope's coffers being replenished. Agriculture and industry, silk cultivation, and trade expansion were all priorities for him.

Sixtus V's pontificate was highlighted by a vigorous campaign against crime in Rome, tax reform, and the establishment of financial institutions and manufactories. He favored culture and art that underwent tremendous transformations. The Renaissance has almost vanished. Baroque has become an adequate direction of Catholic restoration and counter-reformation in art. Pope absolutism put art totally at its service; although art controlled the popes throughout the Renaissance, this has now reversed. During the Renaissance, art was the furthest apart from the church, but it is today the closest to it.

The Pope was personally involved in the translation of the Church Fathers' works from Greek, and he is the author of the work of Saint Ambrose of Milan. Grand construction began in Rome under the reign of Sixtus V, with the active participation of Domenico Fontana, the city's favorite architect: the Eternal City was beautified with new buildings, streets and squares were arranged, and four fountains were built on the quarter. The pope authorized the installation of obelisks in front of the main temples, which had been imported from Egypt during the Roman era and left in the remains of imperial residences.

In 1586, a pagan Egyptian obelisk was removed from Nero's circus and installed in the center of St. Peter's Square on which Sixtus carved the fol-

lowing words: “Christus Vivit, Christus Regnat, Christus Imperat (“Christ conquers, Christ reigns, Christ commands)”. The dome of St. Peter’s Basilica was completed; the Vatican Library and Printing House were built; the Trajan and Antonius Pius arches were renovated and restored; and a new water supply – Aqua Felice was established. Sixtus V personally patronized the work of an Italian poet Torquato Tasso (1544-1595), best known for the poem “Liberated Jerusalem” Sixtus’ grave is in the Chapel of Sixtus, which was built by Domenico Fontana in the Cathedral of Santa Maria Maggiore. The chapel has a dome with opulent decorations. Bas-reliefs adorn the statue of the Pope’s tomb. The statue of kneeling Sixtus was performed by sculptor Giovanni Stanetti, known as Valsoldo.

References:

- Aldo, M. V.** (2012). *Piccolo mondo vaticano. La vita quotidiana nella città del papa*, Roma-Bari, Laterza.
- Gergei, E.** (1999). *Istoriya papstvo [Гергей Е. История папства]*. Moscow: Respublika.
- Istoriya vatikana. Vlast’ I Rimskaya kuriya.* (2002). [История Ватикана. Власть и Римская курия]. Moscow: Political Literature Publishing House.
- Khubashvili, I.** (2016). *Romis pontipeksebi da mati epoka. TSU gamomcemloba.* Tbilisi. [The Roman Pontiffs and their Epoch. Tbilisi: TSU Press.
- Lozinskiy, S.** (1986). *Istoriya Papstvo [“History of the Papacy]*. Moscow: Political Literature Publishing House.
- Marchant, P.** (2007) *Come diventare papa*, Casale Monferrato, Edizioni Piemme.
- Ranke, L.** (1842). *Rimskie papi. Ix cerkov i gosudarstvo XVI-XVII stoletiax. I. Glasunova I. K.* [Popes of Rome. Their church and state in the XVI-XVII centuries. SPB. type. I. Glazunova and Co]. Sankt-Peterburg.
- Reumont, A.** (1857). *Diplomazia italiana del secolo al XVI-XVIII. t.I.* Firenze. BARBERA DI ALFREDO REUMONT in 8°.
- Romeo, E.** (2008). *Come funziona il Vaticano. Tutto quello che vorreste sapere*, Milano, Ancora.
- Rossi, F.** (2004). *Der Vatikan. Politik und Organization.* Munchen. Verlag: Beck C. H.

სარჩევი Table of Contents

მარინე ალექსიძე, ლაურა გურული	3
სემათა რუსულ-ქართული კონტრასტული ლექსიკონი: პრობლემის დასმისათვის Marine Aleksidze, Laura Guruli Russian-Georgian Contrastive Dictionary of Semes: for Raising the Problem	
მარინა ანდრაზაშვილი	7
IX საუკუნის კავკასია გერმანულ მკვლევართა ნაწერებში Marina Andrazashvili XIX Century Caucasus in the Works of the German Scholars	
რუსუდან ასათიანი	11
ენობრივ ფორმათა ფუნქციური „კლასტერები“ სხვადასხვა ლინგვისტიკურ დონეზე ქართულში Rusudan Asatiani The Functional “Clusters” of Linguistic Forms at the Different Linguistic Levels in Georgian	
ცირა ბარამიძე	15
დვალეთის ქართული ონომასტიკა Tsira Baramidze Georgian Onomastics of Dvaleti	
ნატალია ბასილაია	21
მარინა ცვეტაევას ეპისტოლარული იდიოლექტი Natalia Basilaia The Epistolary Idiolect of Marina Tsvetaeva	

ამირან ბასილაშვილი	23
ივანე ჯავახიშვილი – ლინგვისტიკური კავკასიოლოგიის მესაძირკველ საქართველოში	
Amiran Basilashvili	
Ivane Javakhishvili – the Founder of the Studies in Caucasian Linguistics in Georgia	
ლევან ბებურიშვილი	31
გალაკტიონის პოეზიის რეცეფცია XX საუკუნის 50-იანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაში	
Levan Beburishvili	
A Reception of Galaktion’s Poetry in the Literary Critique of the 1950s	
არსენ ბერთლანი, ქეთევან გიგაშვილი	37
სიტუაციური ომონიმია და მისი დაძლევის ლინგვისტიკური ხერხი ქართულ ენაში	
Arsen Bertlani, Ketevan Gigashvili	
Situational Homonymy and the Linguistic Way of Overcoming it in the Georgian Language	
ნანა გაფრინდაშვილი	41
მარადიული სახეები კომპარატივისტული თემატოლოგიის ქრილში	
Nana Gaprindashvili	
Eternal Characters in the Context of Comparative Thematology	
ელენე გეგეშიძე	45
ებრაული თემა ქართულ კულტურაში XX საუკუნეში	
Elene Gegeshidze	
The Jewish theme in Georgian Culture in the Twentieth Century	
თამარ გელაშვილი	51
„ლამისთევა ფინეგანისათვის“ მეექვსე თავის თარგმანის სირთულეები	
Tamar Gelashvili	
Certain Difficulties of Translating Chapter VI of Finnegans Wake	
მანანა გელაშვილი	55
შექსპირის სამი ტრაგედია ქართულად (მანანა ანთაძის თარგმანი)	
Manana Gelashvili	
Shakespeare’s Three Tragedies in Georgian (Translated by Manana Antadze)	

ნანი გელოვანი	59
1872 წლის დებულებები ამიერკავკასიის მუსლიმი სასულიერო წოდების მართვის შესახებ	
Nani Gelovani	
The Statutes of 1872 on the Governance of the Transcaucasian Muslim Clergy	
ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა	65
ივანე ჯავახიშვილის თეორიული სჯანი წმინდანთა „მარტვილობებისა“ და „ცხოვრებების“ შესახებ	
Nana Gonjilashvili, Nestan Sulava	
Ivane Javakhishvili's Theoretical Statement about the "Martyrdoms" and "Lives" of the Saints	
ნანა გულიაშვილი	71
დრო და მოდერნულობა	
Nana Guliashvili	
Time and modernity	
როზეტა გუჯეჯიანი	75
დომიტრი ბაქრადის (1826-1890 წწ.) მოგზაურობა სვანეთში	
Rozeta Gujejiani	
Dimitri Bakradze's (1826-1890) Journey to Svaneti	
ნინო ეჯიბაძე	81
კიდევ რამდენიმე არაბიზმის შესახებ ქართულში	
Nino Ejibadze	
On a Few More Arabisms in the Georgian Language	
ხათუნა კალანდარიშვილი	87
ალბრდისა და რწმენის მიმართების საკითხისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში	
Khatuna Kalandarishvili	
Regarding the Issues of Nurture and Faith in the Works of Ilia Chavchavadze	
ნათია ნემსაძე	93
ვერბალური გრაფიტის ლინგვისტიკური ანალიზი	
Natia Nemsadze	
The Linguistic Analysis of the Verbal Graffiti	

მურმან პაპაშვილი	97
დღემდე უცნობი წყაროები თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსოსა და მისი ეპისკოპოსის – ქრისტეფორე ორბელიანის შესახებ	
Murman Papashvili	
On Hitherto Unknown Sources About the Catholicosate of Tbilisi and its Bishop - Christopher Orbeliani	
ნინო პოპიაშვილი	101
ლიტერატურის ფუნქციისათვის: სოლიდარობა და ომის ნარატივი ომისა და ანტიომის ლიტერატურაში	
Nino Popiashvili	
For the Function of Literature: Solidarity and War Narrative in Military and Anti-War Literature	
ნათია სიხარულიძე	105
გალაკტიონ ტაბიძის „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ (ინტერტექსტური რელაციები. დათარიღების პრობლემა)	
Natia Sikharulidze	
Galaktion Tabidze's "Tomorrow should Look after Itself" (Intertextual Relations. Problem of Dating)	
მამია ფალავა, მაია ბარამიძე	111
კითხვითი ნაწილაკი მაჭახლურში	
Mamia paghava, Maia Baramidze	
The Interrogative Particle in Machakhelian Dialect	
კონსტანტინე ფიცხელაური	117
ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა დიდი შირაქის ველზე	
Konstantine Pitskhelauri	
New Archaeological find in the Great Shiraki Valley	
აკაკი ყულიჯანიშვილი	123
ძირითადი მოდერნული მახასიათებლების პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები	
Akaki kulidjanishvili	
Postmodern Transformations of the Key Modern Features	

ნინო წერეთელი	127
ბინარული ოპოზიცია ჩემი/სხვა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“	
Nino Tsereteli	
The Binary Opposition My/Other in Guram Rcheulishvili's Story “A Death in the Mountains”	
ია (ლეილა) ხუბაშვილი	131
კათოლიკური რესტავრაცია და თანამედროვე ეკლესიის მმართველობის სისტემის შექმნა. სიქსტუს V	
Ia (Leila) Khubashvili	
Catholic Restoration and the Modern Church Creating a Governance System. Sixtus V	

რედაქტორები:

თამარ გაბელაია

მარინა ჭყონია

დამკაბადონებელი

ნინო ვაჩეიშვილი

